საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**11–12**

ნოემბერი–დეკემბერი

თბილისი – 1965

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1965 წლის 22 მაისის ბრძანება № 565

## რესპუბლიკის ზოგიერთი ბაგა-ბაღის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე 1960 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკაში ბაგისა და ბაღის არსებულ ბაზაზე გაიხსნა 15 ახალი ტიპის სკოლამდელი დაწსებულება „ბაგა-ბაღი“ 1765 ბავშვით.

მ/წლის იანვრის მონაცემებით ჩვენს რესპუბლიკაში ბაგა-ბაღების რიცხვი 61 აღწევს, სადაც გაერთიანებულია 8295 ბავშვი; აქედან 2 თვიდან 1 წლამდე ასაკის 221, 1 წლიდან 3 წლამდე 2149 და 3 წლიდან 7 წლამდე 5929 ბავშვი.

ბაგა-ბაღებში სერიოზული ყურადღება ექცევა ადრეული ასაკის ბავშვის აღზრდის ამოცანების განხორციელებას, სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის ნორმალურად წარმართვის საქმეს. ქ. თბილისის № 2 და № 6 ბაგა-ბაღებში (გამგეები ი. კანდელაკი, ვ. მაისურაძე, ექიმები თ. ოშაყმაშვილი, ა. ხუნდაძე) კარგადაა დაყენებული ადრეული ასაკის ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობის საქმე. შემოღებული აქვთ ბავშვებზე დაკვირვებისა და დახასიათების რვეულები, დაცულია ასაკობრივი რეჟიმი, დიდი ყურადღება ექცევა ბავშვების რეგულარული ძილის, კვებისა და მათი გაკაჟების საქმეს. სისტემატურად ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი, მედდები ატარებენ ბავშვებთან ინდივიდუალურ მეცადინეობებს დამოუკიდებელი

სიარულის, პირველი სიტყვების წარმოთქმისა და სხვა ჩვევების გამოსამუშავებლად.

ქ. თბილისის № 6 ბაგა-ბაღის ორწლიანი ბავშვების ჯგუფის აღმზრდელი თ. ქაჯაია კარგად ფლობს ადრეული ასაკის ბავშვების სწავლების მეთოდებს. მეტყველების განვითარების მიზნით მიმზიდველად ატარებს მეცადინეობებს თხრობის საშუალებით, ლოტოების, სურათებისა და ილუსტრაციების გამოყენებით. ასევე თამაშის მომენტებს იყენებს ბავშვების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ამასთანავე ბაგა-ბაღების მუშაობაში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებანი: ზოგიერთი გამგე ვერ ერკვევა ბაგა-ბაღის მუშაობის სპეციფიკაში, ვერ იყენებს აღზრდის პროგრამას, ნაკლებად აკონტროლებს და ეხმარება პედ. პერსონალს, რის გამო ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების სათანადო ხელმძღვანელობას.

ქ. ტყიბულის ბაგა-ბაღის გამგე ე. ლეშკაშელი ღრმად ვერ წვდება ბაგის ასაკის ჯგუფებში მუშაობის საკითხებს. ამ ბაგა-ბაღში დღემდე არ მუშაობს ექიმი. არ არის დაცული ასაკობრივი რეჟიმი და მენიუ. ე. ლეშკაშელი სათანადოდ ვერ აწარმოებს მეცადინეობების გაანალიზებას, ვერ აძლევს აღმზრდელებს საჭირო მითითებებს, მოსმენილი მეცადინეობების ჩანაწერებში დაშვებული აქვს როგორც ენობრივი, ისევე შინაარსობლივი შეცდომები.

ქ. თბილისის № 7, № 9 ბაგა-ბაღებში (გამგეები მ. ხელაშვილი, ჟ. გოგლიძე) მოუწესრიგებელია სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმი; № 4 ბაგა-ბაღის სადღეღამისო ჯგუფის საძინებელში დაჭუჭყიანებულია თეთრეული, ხოლო № 9 ბაგა-ბაღის სამზარეულოში უსუფთაობაა.

ქ. თბილისის № 7 ბაგა-ბაღს (გამგე ა. ასხაბაძე) არ გააჩნია საჭირო სასწავლო ნივთები და სათამაშოები. № 4, № 12 ბაგა-ბაღში ნაკლები ყურადღება ექცევა დგამ-ავეჯით მომარაგებას, ხოლო ქ. თბილისის № 2, № 12 ბაგა-ბაღებში ეზოების კეთილმოწყობის საქმეს.

ბაგა-ბაღებში არ ეწყობა ჯგუფის თათბირები, არა აქვთ ბავშვებზე დაკვირვებისა და დახასიათების რვეულები. ასაკობრივი რეჟიმი, მენიუ და სხვ.

ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე ზოგიერთი მედდა ვერ ერკვევა თავის ფუნქციებში. მაგალითად, ქ. ტყიბულის ბაგა-ბაღში ბაგის ასაკის შერეული ჯგუფის (2 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვები) მედდა თ. კუბლაშვილი სუსტი მუშაკია, ვერ ერკვევა პროგრამით მოცემულ საკითხებში, არ იცნობს თავისი ჯგუფის აღსაზრ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დელების ასაკს, მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ მონაცემებს, სუსტად ატარებს ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას.

დარღვევებს ადგილი აქვს ბაღის ასაკის ჯგუფებშიაც. აღმზრდელები ო. კაჭახიძე (ქ. თბილისის № 6 ბაგა-ბაღი) და მ. ტერტერაშვილი (ქ. თბილისის № 1 ბაგა-ბაღი) უსისტემოდ მუშაობენ, არ აწარმოებენ მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვას.

№ 9 ბაგა-ბაღის აღმზრდელები თ. ხურცილავა (მათემატიკოსია) და თ. დონაშვილი ვერ ავლენენ მუშაობაში სათანადო პედაგოგიურ მომზადებას და არ არიან დაინტერესებული კვალიფიკაციის ამაღლებით.

აღმზრდელი ზ. კუბლაშვილი (ქ. თბილისის № 4 ბაგა-ბაღის სადღეღამისო ჯგუფი) ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბავშვებში თვითმომსახურებისა და კულტურული ჩვევების გამომუშავების საქმეს.

ბაგა-ბაღების მუშაობას ხელს უშლის ისიც, რომ სუსტია კონტროლი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებიდან. ბაგა-ბაღები არ არიან უზრუნველყოფილი მეთოდური ლიტერატურით, საჭირო კადრებით და სპეციალური დგამ-ავეჯით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბაგა-ბაღების გამგეებმა:

ა) უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ბაგა-ბაღების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება;

ბ) სასწავლო პედაგოგიური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დააწესონ ყოველდღიური კონტროლი და ხელმძღვანელობა პედაგოგიური და სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ მეცადინეობებს (მ. შ. ბაგის ასაკის ჯგუფებში), გააანალიზონ და გაატარონ სათანადო ღონისძიებები;

გ) აწარმოონ ყოველდღიური მუშაობა ბაგის უმცროსი და საშუალო ჯგუფის მედდებთან პედაგოგიური ხერხებისა და მეთოდების დაუფლების მიზნით;

დ) იზრუნონ თანამშრომელთა პედაგოგიური და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. შეავსონ ბაგა-ბაღი სათანადო მეთოდური ლიტერატურით;

ე) შემოიღონ სპეციალური ჟურნალი ბავშვებზე ინდივიდუალური დაკვირვების შედეგების აღსარიცხავად;

ვ) ადრეული ასაკის ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობის გაძლიერების მიზნით, მათი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შედეგების მოსასმენად დააწესონ ყოველთვიური ჯგუფური თათბირების ჩატარება;

ზ) უზრუნველყონ აღმზრდელების მიერ აგეგმვა-აღრიცხვის სწორად წარმოება;

თ) მკაცრი კონტროლი დააწესონ დღის რეჟიმის შესრულებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბაგის ასაკის უმცროს ჯგუფებში ასაკობრივი რეჟიმის დაცვას;

ი) ყურადღება მიაქციონ კვების ხარისხის გაუმჯობესებას, მენიუს მრავალფეროვნებას და ბავშვებისათვის დაწესებული დღიური რაციონის ზუსტად მიწოდებას;

კ) უზრუნველყონ ბაგა-ბაღებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება;

ლ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ბაგა-ბაღების საჭირო ინვენტარით, სათამაშოებითა და სასწავლო ნივთებით მომარაგების საქმეს;

მ) უზრუნველყონ ეზოების კეთილმოწყობა;

ნ) ბაგა-ბაღის ბავშვებით დაკომპლექტებისას ახალი სასწავლო წლიდან ბავშვების ჩარიცხვა ყველგან გაითვალისწინონ 2 თვის ასაკიდან;

ო) ქ. თბილისის №2 და №6 ბაგა-ბაღების გამგეებმა ამხ. ამხ. კანდელაკმა, ვ. მაისურაძემ გამოცდილების განზოგადების მიზნით, წარმოადგინონ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად მოხსენებითი ბარათები მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქალაქების ჯანგანყოფილების გამგეებმა და რაიონების მთავარმა ექიმებმა:

ა) განიხილონ ბაგა ბაღების კადრებით დაკომპლექტების საკითხი და საჭიროების შემთხვევაში შეავსონ ისინი კვალიფიციური მუშაკებით;

ბ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიურ, სამედიცინო პერსონალთან და დასახონ ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

გ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) პედიატრიის ინსტიტუტთან ერთად ა/წლის 1 სექტემბრიდან გაითვალისწინოს კურსების ჩატარება ბაგის ასაკის ჯგუფებში მომუშავე პედაგოგებისა და სამედიცინო პერსონალის გადასამზადებლად.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) სკოლამდელ განყოფილებასთან (გ. აბდუშელიშვილი) ერთად გადასინჯოს

ბაგა-ბაღის ტიპიური შტატები მასში ზოგიერთი ცვლილების შეტანის მიზნით.

5. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ს. არველაძე) უზრუნველყოს ბაგა-ბაღების მომარაგება სპეციალური ინვენტარით.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ბაგა-ბაღებისათვის სპეციალური ინვენტარის დამზადება.

7. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) და დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველომ (ამხ. ლ. ირემაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 21 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ლ. საყვარელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №988

### ზაფხულის პერიოდში მუშაობისა და მოსამსახურეების ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიების ჩატარების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ადგილზე ჩატარებული შემოწმების მასალებს აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გასატარებლად.

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებიდან და საბავშვო სახლებიდან გაყვანილი იქნა აგარაკზე 1205 აღსაზრდელი, 75 აღსაზრდელი ზაფხულს ატარებდა ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმებში, ხოლო 140 აღსაზრდელი გაგზავნილი იყო პიონერთა ბანაკებში. კარგი მუშაობით გამოირჩეოდნენ ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმები, მახარაძის, ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატები, ეწრის, კოჯრის № 1, მახინჯაურის, სურამის და ვაკის საბავშვო სახლები და სხვ.

მახარაძის სკოლა-ინტერნატი გადასული იყო საბანაკო მუშაობაზე და ზაფხულს ატარებდა აგარაკ ბახმაროზე. ბანაკში დამყარებული იყო სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე. ინტერნატი ბოსტნეულს, ხილსა და მჭადის ფქვილს ღებულობდა საკუთარი მეურნეობიდან, რის გამო კვება მრავალფეროვანი იყო. ბანაკში აღსაზრდელთა გართობა-დასვენების ორგანიზაცია კარგად იყო მოწყობილი, ტარდებოდა შიდა საბანაკო შეჯიბრება ჭადრაკსა და შაშში. ასევე კარგად იყო დაყენებული სამედიცინო მომსახურება.

ზუგდიდის მეორე სკოლა-ინტერნატს აღსაზრდელები გაყვანილი ჰყავდა ამავე რაიონის სააგარაკო ადგილზე სოფ. კორცხელში. აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი იყვნენ საკმაო ფართობის ნათელი და მზიანი ოთახებით, ჭურჭლეულით. ბანაკში დამყარებული იყო მტკიცე რეჟიმი და სისუფთავე, დამაკმაყოფილებელი იყო

აღსაზრდელთა კვება. ბანაკში ყოველდღე ეწყობოდა ბავშვთა გასეირნება სუფთა ჰაერზე, წინასწარ შედგენილი გეგმით ეწყობოდა დილა-საღამოები, ექსკურსიები და სხვ. ბანაკი დაკომპლექტებული იყო აღმზრდელ-მასწავლებელთა შესაფერისი კადრებით.

ასევე ნაყოფიერ მუშაობას ატარებდნენ კოჯრის № 1, ეწრის, მახინჯაურისა და ვაკის საბავშვო სახლები.

საკმაოდ დიდ მუშაობას ატარებდნენ პატარა ცემისა და ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმები. ხსენებულ სკოლა-სანატორიუმებში დროულად ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა, წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა კვების ხარისხი, რის შედეგად ბავშვებმა წონაში 1—2 კილოგრამი მოიმატეს.

ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის აღმზრდელი ა. მუჯირი და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის კულტმუშაკი მ. მხიაგული საინტერესოდ აწყობდნენ მოსწავლეთა ორგანიზებულად დასვენებასა და გართობას, აბამდნენ ბავშვებს მასობრივ ღონისძიებებში, აწყობდნენ სიმღერისა და ცეკვის საღამოებს, თამაშობებს. აღმზრდელები პერიოდულად ატარებდნენ საუბრებს და ეხმარებოდნენ პიონერთა ორგანიზაციებს.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა საზაფხულო გამაჯანსაღებელ მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

ზოგიერთი სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის დირექტორმა ვერ უზრუნველყო აღსაზრდელთა ორგანიზებულად გაყვანა აგარაკზე. ხშირ შემთხვევაში აღსაზრდელები უმეთვალყუროდ იყვნენ დატოვებულნი.

ზოგიერთი აღმზრდელის გეგმა ზერელედ იყო შედგენილი, გეგმებში არ იყო გათვალისწინებული სასაუბრო თემები, აღმზრდელები ხშირად ბავშვების მეთვალყურის როლში გამოდიოდნენ. არ ექცეოდა სათანადო ყურადღება კადრების შერჩევას: ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორმა აგარაკზე გაგზავნილ აღსაზრდელებს სამუშაოდ გააყოლა მზარეულის თანაშემწე, რომელსაც არ ჰქონდა ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, რის გამო ბავშვები უმეთვალყუროდ იმყოფებოდნენ და ხშირად იპარებოდნენ კიდეც.

ქ. ქუთაისის № 3 სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ამხ. შ. კაკაბაძემ არაორგანიზებულად გაამგზავრა ბავშვები კირნათში, ხოლო ადგილზე დარჩენილი ბავშვებისადმი გამოიჩინა სრული უყუ-

რადღებობა, კირნათის სკოლა-ინტერნატის დირექციამ ქ. ქუთაისის № 3 სკოლა-ინტერნატიდან გაგზავნილი ბავშვებისადმი არ გამოიჩინა გულისხმიერება და თავის დროზე არ მიიღო ზომები ბავშვების უკან დასაბრუნებლად. ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირის სკოლა ინტერნატის დირექტორმა ისიც კი არ იცოდა თუ სად ისვენებდნენ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები უშინაარსოდ ატარებდნენ ზაფხულს აგრეთვე ნორიოს საბავშვო სახლის აღსაზრდელები. ნორიოს საბავშვო სახლში მოწყობილ პიონერთა ბანაკში არ იყო სისუფთავე, აღსაზრდელები აღმზრდელთა მეთვალყურეობის გარეშე დაეხეტებოდნენ საბავშვო სახლის ვრცელ ტერიტორიაზე. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ზოგიერთ საბავშვო სახლსა და სკოლა-ინტერნატში.

სუსტად მუშაობდა ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. სალუქვაძე, ის რაზმებისა და რაზმეულის შეკრების მომზადებულად ჩატარებას, კედლის გაზეთების გამოშვებასა და პიონერთა აქტივთან მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

განათლების სამინისტროს 1962 წლის ბრძანება პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის წყლით მომარაგების, მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლისა და სპორტული დარბაზის მშენებლობის საკითხის შესწავლის შესახებ დღემდე არაა შესრულებული კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მიერ. მოსაგვარებელია აგრეთვე 1963 წელს გაკეთებული გზის ექსპლოატაციაში გაშვების საკითხიც.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე შეისწავლონ ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიების ჩატარების შედეგები და შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) მკაცრად დასაჯონ საბავშვო დაწესებულებების ის ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიების გატარება და ამ საქმეში გამოიჩინეს უდარდელობა;

გ) მომავალში გულდასმით შეარჩიონ კადრები და არ დაუშვან სათანადო განათლებისა და გამოცდილების არმქონე მასწავლებელთა შერჩევა;

დ) მომავალში სისტემატური კონტროლი დააწესონ ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელ მუშაობაზე.

2. ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის დირექტორმა დააჩქაროს საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში მოწყობილი შხაპების ექსპლოატაციაში გაშვება და უზრუნველყოს მისი ნორმალური მუშაობა.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. შ. ბუთიკაშვილი) შეისწავლოს პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის წყლით მომარაგების, მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლისა და სპორტული დარბაზის მშენებლობის შესაძლებლობა და წინადადება წარმოადგინოს ა/წლის 15 ოქტომბრამდე; დააზუსტოს აგრეთვე 1963 წელს გაკეთებული გზის ექსპლოატაციაში დღემდე გაუშვებლობის მიზეზი.

4. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლის დაწესებას ვავალებ სკოლების სამმართველოს (ამხ. დ. ჯავახია) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ვ. ჩინჩალაძე).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 105/27

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა

1965 წლის 1/10 სექტემბერი

### მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრები კოლექტივის მონაწილეობის შედეგების შესახებ

მიმდინარე წლის 5-დან 18 ივნისამდე ქ. თბილისში ჩატარდა მოსწავლეთა XVII რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტის 19 სახეში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 4500-მდე მოსწავლემ.

თანახმად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამისა, სპორტის 16 სახეში შერჩეული იქნა 27 ნაკრები გუნდის კანდიდატები, რომლებიც გადაყვანილი იქნენ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე ბორჯომში (ფეხბურთი, ჩოგბურთი), ლესელიძეში (ტანვარჯიში), მოსკოვში (კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, აკრობატიკა, მხატვრული ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი), ცესისში (მძლეოსნობა), მინსკში (ველო, სროლა, ნიჩბოსნობა), ხოლო 14 ივლისიდან საქართველოს მოსწავლეთა კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო IX საკავშირო სპარტაკიადაში ქ. მინსკში, სპორტის 16 სახეში.

საკავშირო სპარტაკიადაზე პირველი ადგილი მოიპოვეს და ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ:

ჭაბუკთა და გოგონათა ჩოგბურთის გუნდები (მწვრთ. მ. კლდიაშვილი და მ. ქობალია);

მოსწავლეთა ფეხბურთის გუნდი (მწვრთ. ს. სიხარულიძე, თ. კუბლაშვილი);

ჭაბუკ-ნიჩბოსანთა წყვილი—კ. გაფრინდაშვილი და არუთინოვი (1000 მეტრზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ადგილებზე გამოვიდნენ და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ:

კალათბურთის ჭაბუკთა გუნდი (მწვრთ. მ. კეკელიძე და გ. ზახლიანი).

მსროლელთა გუნდი მცირეკალიბრიან შაშხანით წოლელა მდგომარეობიდან სროლაში 50 მ (ვარჯიში მე-9).

მსროლელთა გუნდი მცირეკალიბრიან პისტოლეტით 25 მეტრზე სროლაში (მვ-5) (მწვრთ. თ. ხერხეულიძე და გ. გუჯარელიძე);

მძლეოსანი—შუბის მტყორცნელი—ს. პოლი (მწვრთ. ა. კერსელიანი);

აკრობატიკაში—ძალისმიერი წყვილი—პ. მიქიაშვილი და ა. თედეევი (მწვრთ. თ. ვ. ალთუნაშვილი);

მაგიდის ჩოგბურთელი—ს. სარხონიანი (მწვრ. პ. გუგუშვილი);

მესამე ადგილის მოპოვებისათვის ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ:

ჩოგბურთში—ჭაბუკთა წყვილი—ი. შოგირაძე და ვ. შავლისი;

აკრობატიკაში—ჭაბუკთა ოთხეული;

ველოში—გუნდი 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში;

ველოში—გუნდი 75 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში (მწვრთნელები—გ. ჯოხაძე და გ. გუკასიანი);

საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს მოსწავლეების მიერ მოპოვებული იქნა 65 მედალი, აქედან 28 ოქროსი, 33 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედალი.

როგორც რესპუბლიკური სპარტაკიადის და საწვრთნელ შეკრებების პერიოდში, ისე საკავშირო სპარტაკიადაზე დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

მიუხედავად აღნიშნულისა, მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადამ გამოავლინა ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის რიგი ნაკლოვანებანი, რის შედეგადაც საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილე 18 კოლექტივიდან საქართველოს სსრ მოსწავლეთა კოლექტივი VI ადგილზე გამოვიდა.

სპორტის რიგ სახეობებში ნაკრები გუნდები დაბალ დონეზე მომზადებული აღმოჩნდნენ. მხატვრულ ტანვარჯიშში გუნდმა დაიკავა მე-12 ადგილი, კალათბურთში (გოგონები)—მე-11 ადგილი, ცურვაში—მე-11-12 ადგილი, წყალში ხტომაში—მე-9-10, ფრენბურთში—მე-9-10, ხელბურთში—მე-7-9, მძლეოსნობაში (ჭაბუკები)—მე-8 ადგილი და სხვა. გუნდებმა განსაკუთრებით სპორტულ თამაშობებ-

ში გამოავლინეს ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დაბალი დონე, მაშინ, როდესაც მოსწავლეთა VIII საკავშირო სპარტაკიადაზე სპორტის ამავე სახეობებში დაიკავეს შედარებით უკეთესი ადგილები.

კალათბურთში გოგონათა გუნდის მონაწილენი, გარდა ტაქტიკური და ტექნიკური მოუმზადებლობისა, სუსტად იყვნენ დაუფლებულნი საჯარიმო ბურთების კალათში ტყორცნას, რის შედეგად მათ მიერ კალათში ნატყორცნი ბურთების 70% უშედეგო აღმოჩნდა.

ფრენბურთში ჭაბუკებისა და გოგონების გუნდებმა არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს, დაბალ დონეზე ჩაატარეს ტურნირი და საშუალო ჯგუფშიც ვერ მოიპოვეს უკეთესი ადგილი.

სუსტი მაჩვენებლებით გამოვიდნენ გუნდები სპორტულ (მე-6 ადგილი), და მხატვრულ ტანვარჯიშში (მე-12 ადგილი). მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის მოსწავლე ტანმოვარჯიშეებიდან მხოლოდ ერთი მოსწავლე გოგონა (ვ. ადამაშვილი) მოხვდა სპორტსმენ-გოგონათა საუკეთესო ათეულში.

სპორტის რიგ სახეობებში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე წარუმატებლობის მიზეზია ის, რომ არ იყო ჩატარებული ჯეროვანი წინასწარი მუშაობა ნაკრები გუნდების მაღალი სპორტული მონაცემების მქონე მოსწავლეებით დასაკომპლექტებლად და ნაკრები გუნდების მაღალ დონეზე წვრთნისათვის. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ბავშვთა რიგ სპორტულ სკოლებში სპორტის ცალკეულ სახეობებში მუშაობა ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ნაკრები გუნდებისათვის სათანადო მონაცემებისა და მომზადების მქონე კანდიდატების შერჩევა.

თბილისის განათლების განყოფილების და ქ. თბილისის რაიონების ბავშვთა სპორტულ სკოლებს შორის არ არის დამყარებული საფეხურიანობა იმ მიზნით, რომ საქალაქო სპორტული სკოლები სისტემატურად ივსებოდნენ სათანადო სპორტული მონაცემებისა და მომზადების მქონე ბავშვებით თბილისის რაიონების სპორტული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან.

სპორტული სექციები და ჯგუფები სკოლებსა და ბავშვთა სპორტულ სკოლებში მცირერიცხოვანია, სოხუმის კომპლექსური სპორტული სკოლის ცურვის დაბალი თანრიგის 7 ჯგუფში გაერთიანებულია მხოლოდ 75 მოსწავლე, წყალში ხტომის 3 ჯგუფში—24 მოსწავლე, ნიჩბოსნობის 3 ჯგუფში—28 მოსწავლე, ზუგდიდის ბავშვთა სპორტული სკოლის ხელბურთის 4 ჯგუფში—42 მოსწავლე და სხვა.

რიგ სპორტულ სკოლებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადება. თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნურ სპორტულ სკოლაში 1964 წლის განმავლობაში მომზადებულია მხოლოდ ერთი პირველთანრიგოსანი. ტანვარჯიშის სპორტული სკოლის 50 ჯგუფში გასულ წელს მომზადდა 3 სპორტის ოსტატი და 14 პირველთანრიგოსანი, რომელთა მომზადების ხარისხი დაბალი აღმოჩნდა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სპორტულ სკოლებშიც, რომლებმაც ვერ შეძლეს გუნდებისათვის სათანადო კანდიდატების მომზადება.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, რესპუბლიკის რიგ სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები დაბალ პედაგოგიურ და მეთოდურ დონეზე ტარდება. ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ეთმობა კლასგარეშე სპორტულ მუშაობას. ბევრ სკოლას არ გააჩნია სათანადო ბაზები და სპორტული ინვენტარი ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ჩასატარებლად. არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. არ არის მოგვარებული მწვრთნელთა შემთავსებლობის საკითხი.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი შეუფასებლობას იჩენს ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი. სკოლების ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში არ უწევენ სათანადო კვალიფიციურ დახმარებასა და კონტროლს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში.

განათლების ადგილობრივი ორგანოები და სპორტკავშირები სუსტად ხელმძღვანელობენ ფიზიკური აღზრდის დაყენების საქმეს სკოლებში. არ ღებულობენ საჭირო ზომებს სკოლებთან სპორტული ბაზების შესაქმნელად და არსებული ბაზების განსამტკიცებლად, ნაკლებად ატარებენ სპორტულ ღონისძიებებს, შეჯიბრებებსა და სხვა. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა უმრავლესობასთან არ არის შექმნილი ფიზიკური აღზრდის საბჭოები ბავშვთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხელმძღვანელობის გასაწევად.

სუსტად მუშაობენ ბავშვთა შორის რესპუბლიკის რიგი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და უწყებათა ფიზკულტურული ორგანიზაციები („სპარტაკი“. „ლოკომოტივი“, „კოლმეურნე“, „ბურევესტნიკი“ და სხვა.). მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა შორის მუშაობის გასაშლელად მათ შესაძლებლობები გააჩნიათ, არ

ზრუნავენ ბავშვთა სპორტული სკოლების ქსელის გასაფართოებლად, ნაკლებად ატარებენ ბავშვებისათვის სპორტულ შეჯიბრებებს, არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ საშეფო მუშაობას სკოლებზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, შესაბამის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარეებს:

ა) კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოს და სპორტკავშირების პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილება (მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრები კოლექტივის მონაწილეობის შედეგების შესახებ) და რაიონის, ქალაქის, ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივის მონაწილეობის შედეგები საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე ჩამოაყალიბონ ნაკრები გუნდები სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებულ სპორტის სახეობებში. მიამაგრონ გუნდებს საუკეთესო მწვრთნელები და შექმნან ყველა პირობა გუნდების მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის.

ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისას გაითვალისწინონ 1967 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეების ასაკი, რისთვისაც 1966 წლის სპარტაკიადის მონაწილე გუნდები დააკომპლექტონ სათანადო ასაკის მოსწავლეებით;

გ) დააწესონ ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის და რაიონის სპორტული კალენდარის დამტკიცება, უზრუნველყონ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სახეობების, განსაკუთრებით ტანვარჯიშის, მძლეოსნობისა და ცურვის განვითარება;

უზრუნველყონ შეჯიბრების ჩატარება რაიონისათვის განკუთვნილ სპორტის სახეობებში მოსწავლეთა სამივე ასაკისათვის (13-14 15-16, 17-18 წლები);

დ) გამოყონ კომისია, რომელიც განიხილავს ბავშვთა სპორტულ სკოლებში არსებული ჯგუფების განაწილებას სპორტის სახეობების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ სპორტის არსებულ სახეობებში გათვალისწინებული იქნეს მისი განვითარებისათვის ჯგუფთა საჭირო რაოდენობა; ჯგუფების გადანაწილების პროექტი სპორტის სახეობების მიხედვით განსახილველად და დასამტკიცებლად მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკურ სპორტკავშირს;

ე) ბავშვთა სპორტულ სკოლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-მასობრივ, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბრამდე შექმნან და დაამტკიცონ განათლების ორგანოსთან (განათლების სამინისტრო, განათლების განყოფილება) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოები;

ვ) 1965-1966 სასწავლო წლის პირველ ნახევარში შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლების მუშაობა და გაატარონ ღონისძიებანი ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა და მწვრთნელთა შემადგენლობის გასაუმჯობესებლად;.

გ) მკვეთრად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა სპორტული სკოლების სასწავლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე. მიიღონ საჭირო ზომები ფიზკულტურის მასწავლებელთა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების გასაუმჯობესებლად საკურსო ღონისძიებებისა და ადგილებზე მოწყობილი სემინარების საშუალებით. სისტემატურად იზრუნონ ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ჩატარებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული მოედნები, მოაწყონ კალათბურთისა და ფრენბურთის, მოძრავ თამაშობათა და განსაკუთრებით მძლეოსნური სექტორები. განახორციელონ ღონისძიებანი სპორტული დარბაზების მიშენებისა და აშენებისათვის, როგორც კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის ჭარბშემოსავლის ხარჯზე, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში საშეფო ორგანიზაციები.

2. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე პირველ ადგილზე გამოსული ფეხბურთის (16 მოსწავლე) და ჩოგბურთის (8 მოსწავლე) გუნდები და მათი მწვრთნელები ს. სიხარულიძე, მ. კლდიაშვილი და მ. ქობალია დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და სიგელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით; მეორე და მესამე ადგილებზე გამოსული გუნდები და მწვრთნელები—სიგელებით.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ყველა მონაწილეს პირად სარგებლობაში დაეტოვოს სპორტული ფორმა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი), რომელიც მიეცათ მათ განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის მიერ სპარტაკიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტს და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას;

ა) ერთი თვის ვადაში დაუშვან ადგილებზე 1966 და 1967 წლების საქართველოს სსრ მოსწავლეთა სპარტაკიადების დებულება და მიმდინარე სასწავლო წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარი; გადამჭრელი ზომები მიიღონ მომავალი 1966 და 1967 წწ. საკავშირო სპარტაკიადისათვის ნაკრები გუნდების მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის;

ბ) მიმდინარე წლის I-ლ დეკემბრამდე ჩაატარონ შერჩევითი შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეებში და დაადგინონ დებულების შესაბამისად ნაკრები გუნდების შემადგენლობის პირველი ვარიანტი;

გ) წარმოადგინონ 1966 წლის 1 თებერვლამდე პროექტი სპორტსკოლების ჯგუფების დისლოკაციისა და სპორტის სახეობების განაწილების შესახებ;

დ) მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე, განათლების სამინისტროს კადრების და საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო და კადრების განყოფილებასთან ერთად, გადასინჯონ ბავშვთა შორის მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა დატვირთვა-შეთავსების საკითხი და უზრუნველყონ მათი სწორი განაწილება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სპორტკავშირის სპორტული ფედერაციების განყოფილებას და მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან ერთად, მიმდინარე წლის 31 ოქტომბრამდე გადასინჯონ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატთა მომზადების გეგმები სპორტის სახეების მიხედვით და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ ნაკრები გუნდების მწვრთნელებს ყოველდღიურ მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ სისტემატური კონტროლი დააწესოს გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის კომპლექსის მშენებლობაზე. პერიოდულად მოახსენოს განათლების მინისტრს მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. მიიღოს გადამჭრელი ზომები სამშენებლო სამუშაოების დადგენილ ვადებში და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის.

ქ. თბილისის განათლების განყოფილებასთან ერთად მიიღოს ქმედითი ზომები თბილისის წყალთა სახეობის ბავშვთა სპორტული სკოლის მშენებლობის საკითხის მოსაგვარებლად.

6. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ განიხილოს ნაკრები გუნდების შესარჩევი შეჯიბრებების ჩასატარებლად და მათი წვრთნისათვის წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა და მიიღოს ზომები საჭირო თანხების გამოსაყოფად.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ პროფსაბჭოს:

ა) შეისწავლოს რესპუბლიკის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში ბავშვთა სპორტული სკოლების მუშაობის საკითხი და მიიღოს ზომები ბავშვთა სპორტული სკოლების ქსელისა და ჯგუფების რაოდენობის გაზრდისათვის;

ბ) მიიღოს ზომები მომავალი საზაფხულო სეზონისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) განიხილოს საკითხი ქ. ქ. სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და ფოთში არსებული სკოლა-ინტერნატების ბაზაზე სპორტული სკოლა-ინტერნატების გახსნის შესახებ;

ბ) იმასთან დაკავშირებით, რომ სპორტული ღონისძიებების პროგრამა სპარტაკიადებზე სპორტის 8 სახეობიდან 20 სახეობამდე გაიზარდა და 5 კოლექტივის მაგივრად ამჟამად 80 კოლექტივზე მეტი მონაწილეობს რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე—სპორტული ღონისძიებების ჩატარებისათვის დაწესებული ნორმა 40 კაპიკის ნაცვლად თითო მოსწავლეზე 1966 წლიდან გაზარდოს 1 მანეთამდე;

გ) დაავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო-კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა, ვაჭრობისა და მშენებლობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან და რესპუბლიკის სპორტკავშირთან ერთად, შეისწავლონ საკითხი და წარმოუდგინონ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოსწავლეთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის

განვითარებისათვის საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზის უზრუნველყოფის, სპორტული ინვენტარის, სპორტული ტანისამოსისა და ფეხსაცმლის წარმოების, შემოზიდვისა და გაყიდვის წესის შესახებ;

დ) გამოუყოს მიმდინარე წლის IV კვარტალში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ორი ავტობუსი (ლაზ-695 და პაზ-652) მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მომსახურებისათვის;

9. მიმდინარე წლის ნოემბერში ჩატარდეს განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სპორტკავშირების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი, სადაც განხილული იქნას საკითხი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

10. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურ საბჭოს გადაწყვეტილებით განზრახულია 1966 წელს ქ. თბილისში ჩატარდეს მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და სპორტკავშირების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის გარეშე სპორტული მუშაობის გამოცდილების გასაცნობად, დაევალოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტს საქართველოს სპორტკავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებასთან ერთად, 1965 წლის 1-ლ დეკემბრამდე წარმოადგინოს ამ საკითხთან დაკავშირებით სათანადო გეგმა.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა და საქართველოს სპორტკავშირის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილებამ კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და
ორგანიზაციების კავშირის
საბჭოს თავმჯდომარე
გ. ხიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 25 სექტემბრის ბრძანება № 1019

### უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აგვისტოს № 519 დადგენილებას „უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 519

1965 წლის 21 აგვისტო, ქ. თბილისი

**„უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე**

აღინიშნოს, რომ „უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილების განხორციელების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კვლავ ადგილი აქვს უცხო ენების სწავლების არასწორ შეფარდებას, რის შედეგადაც მოსწავლეთა 60,8 პროცენტი გერმანულ ენას სწავლობს, 26,8 პროცენტი—ინგლისურ ენას, ხოლო 12,4 პროცენტი—ფრანგულ ენას, სკოლებში ჯერ კიდევ არ დაწყებულა მთელი რიგი საგნების უცხო ენებზე სწავლება. საშუალო სკოლის კურსდამთავ-

რებულნი არასაკმაოდ ფლობენ უცხო ენას, სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილი არ არის უცხო ენების კვალიფიციური კადრებით, ხოლო ამავე მიზეზით რესპუბლიკის 142 რვაწლიან და საშუალო სკოლაში უცხო ენა სრულებით არ ისწავლება.

სერიოზული ნაკლოვანებანია უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების სწავლებისა და უცხო ენების მასწავლებლების პედაგოგიური დახელოვნების საქმეში. სტუდენტობა არ არის უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით. უცხო ენების კაბინეტების მოწყობილობა ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნილების დონეს. უცხო ენების ზოგიერთი კათედრა არაა დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური კადრებით. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე საკითხავი და მეთოდური ლიტერატურის დამუშავებასა და გამოცემას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს უცხო ენების სწავლების ხარისხი სკოლებში, აამაღლოს უცხო ენების მასწავლებელთა თეორიული დონე და პედაგოგიური ოსტატობა. მეტი ყურადღება მიაქციოს კლასგარეშე საკითხავი და მეთოდური ლიტერატურის დამუშავებას; არასპეციალისტი მასწავლებლები ჩააბას უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში, სუსტად მომუშავენი კი გაათავისუფლოს სამუშაოდან არსებული კანონმდებლობის თანახმად;

ბ) მიიღოს გადამწყვეტი ზომები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხო ენების სწავლების პროცენტული შეფარდების მოსაწესრიგებლად იმ ანგარიშით, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს გერმანული ენის სწავლების ხვედრითი წონა და ამის შედეგად გაიზარდოს ფრანგული და ინგლისური ენების ხვედრითი წონა;

გ) 1965—1966 სასწავლო წლიდან უზრუნველყოს უცხო ენების სწავლება რესპუბლიკის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში, ამასთან ერთად იზრუნოს სხვადასხვა საგნების უცხო ენაზე სწავლების განსახორციელებლად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმების შესრულება და მიაქ-

ციონ ყურადღება ამ გეგმებით განათლების სამინისტროსათვის გამოყოფილ უცხო ენების მასწავლებელთა ადგილებზე გამოცხადებას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ მასწავლებელთა მომზადებას, რომლებსაც დაეკისრებათ მთელი რიგი საგნების უცხო ენაზე სწავლება სკოლებში;

ბ) იზრუნოს უმაღლესი სასწავლებლების უცხო ენების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა და მათი პედაგოგიური ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის, აგრეთვე უცხო ენების კაბინეტების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა საჭირო ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის უცხო ენაზე საკითხავი ლიტერატურის, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების, ხოლო მასწავლებელთათვის მეთოდური ლიტერატურის გამოცემას.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელმა კომიტეტმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამ დადგენილების საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი უცხო ენების სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**"

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისა და მითითებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით ვბრძანებ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რათა უმოკლეს ვადაში მიაღწიონ რაიონის (ქალაქის) სკოლებში უცხო ენების სწავლების პროცენტული შეფარდების მოწესრიგებას იმგვარად, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს გერმანული ენის სწავლების ხვედრითი წონა და ამის შედეგად გაიზარდოს ფრანგული და ინგლისური ენების ხვედრითი წონა;

ბ) წინადადება მისცენ დამაკმაყოფილებლად მომუშავე უცხო ენების არასპეციალისტ მასწავლებლებს ჩაებან სპეციალობის მიხედვით წარმოებიდან მოუწყვეტლად სწავლებაში, ხოლო ისეთნი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ უცხო ენის სწავლებას—გაათავისუფლონ სამუშაოდან არსებული კანონმდებლობის თანახმად;

გ) უცხო ენის მასწავლებელთა თეორიული დონისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლების მიზნით სისტემატურად გაგზავნონ დახელოვნების კურსებზე ის მასწავლებლები, რომლებიც ამას საჭიროებენ;

დ) დროულად გადმოუგზავნონ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას განაცხადი უცხო ენების მასწავლებელთა საჭირო რაოდენობის შესახებ, ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილზე დამაგრების მიზნით, გაატარონ სათანადო ღონისძიებანი;

2. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევმა ინსტიტუტმა შეიმუშაოს და მოამზადოს დასაბეჭდად დამხმარე სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა უცხო ენების მასწავლებელთათვის.

3. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) საგამომცემლო გეგმაში სისტემატურად გაითვალისწინოს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის გამოცემა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

4. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ დააკომპლექტოს სკოლები უცხო ენების მასწავლებლებით განათლების განყოფილებათა მიერ გადმოგზავნილ განაცხადების შესაბამისად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 5 ოქტომბრის ბრძანება № 1057

### ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ მათემატიკოსთა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1964—1965 სასწავლო წელს ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ მათემატიკოსთა 1-ლი რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლათაშორისო ტურში (მათემატიკა) მონაწილეობა მიიღო 15519 მოსწავლემ, ფიზიკაში—14000-მა, აქედან პირველ სარაიონო (საქალაქო) ტურში მათემატიკაში 8708-მა, ფიზიკაში—9478-მა: პირველ ტურში დაშვებულ მოსწავლეთაგან გაიმარჯვა და მეორე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა მათემატიკაში 1294-მა, ფიზიკაში—3300-მა, მეორე ტურში დაშვებულ მოსწავლეებიდან გაიმარჯვა და მესამე ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა მათემატიკაში 241-მა, ფიზიკაში—193-მა, მესამე ტურში დაშვებულ (მათემატიკა) 241 და (ფიზიკა) 193 მოსწავლიდან თავი ისახელა და I—II—III ხარისხის დიპლომები მიიღო მათემატიკაში 50 და ფიზიკაში—47 მოსწავლემ, 8 მოსწავლეს მათემატიკაში სიგელები მიეცა, ხოლო 26 მოსწავლეს მადლობა გამოეცხადა.

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეთა შორის თავი გამოიჩინეს თბილისის 42-ე, 66-ე, 61-ე, 78-ე, 56-ე, 64-ე, 43-ე, 104 ე, 109-ე, მე-5, მე-9, 83-ე, 91-ე, ქუთაისის მე-9, მე-13, მე-18, ბათუმის 1-ლი, მე-3, რუსთავის მე-3, ცხინვალის მე-3, მე-6, ფოთის 1-ლი, მე-7, გეგეჭკორის რაიონის ბანძის სკოლებისა და ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა. ამ სკოლების მოსწავლეებმა რაციონალური გზით ამოხსნეს ამოცანები და მაგალითები.

ნორჩ ფიზიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეთა

შორის თავი გამოიჩინეს თბილისის 62-ე, 42-ე, 66-ე, ფოთის მე-2, გაგრის მე-2, სოხუმის მე-10, ცხინვალის მე-6, ქუთაისის მე-9, ბათუმის 1-ლი და სხვა რაიონების სკოლების მოსწავლეებმა.

ვერ დააგროვეს საჭირო რაოდენობის ქულები და არ იყვნენ დაშვებული მეორე ტურში (მათემატიკა) თბილისის მე-60, 62-ე, 57-ე, 49-ე, ყაზბეგის, ყვარლის, მარნეულის, მცხეთის, ლენინგორის, ზნაურის, ჯავის, გაგრის, ოჩამჩირისა და სხვა რაიონების სკოლების მოსწავლეები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ მათემატიკოსთა 1-ლ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნენ

ა) პირველი ხარისხის დიპლომით (მათემატიკა):

1. გ. ვ. ნიჟარაძე—თბილისის 61-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

2. მ. ი. დავარაშვილი—თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

3. დ. გ. რუდა— თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

4. ი. ა. მელაძე თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

5. ლ. მ. კიტინიკი—თბილისის 66-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

6. ი. ა. კლიპვერი—თბილისის 66 ე საშ სკოლის XI კლასის მოსწავლე

7. მ. ი. ბლინკინი—თბილისის 56-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

8. ლ. მ. ტოლსტოპიატოვა—ცხინვალის მე-6 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

ბ) მეორე ხარისხის დიპლომით:

1. ლ. ი. მინკინი—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

2. გ. მ. კულუმბეკოვი—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

3. გ. დ. სამსონიძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

4. ლ. შ. თეთროქალაშვილი—თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გ. თ. სმირნოვა—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

6. ზ. გ. ვართანოვა—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

7. ვ. ი. უშაკოვი—თბილისის 83-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

8. ს. ვ. გოტგელფი—თბილისის 66-ე საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე

9. ი. კ. ნონიევი—თბილისის 43-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

10. პ. გ. ტევოსიანი—თბილისის 109 საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე

11. ვ. ი. მდინარაძე—თბილისის 109-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

12. კ. კ. ნივნიკოვი—თბილისის 109-ე საშ. სკოლის XI კლაცის მოსწავლე

13. ა. გ. მულქიჯანიან—თბილისის 66-ე საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე

14. გ. ვ. პაპოიან—თბილისის 78-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

15. გ. მ. მერკინი—თბილისის 78-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

16. ლ. ვ. ჩლაიძე—თბილისის 37-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

17. მ. ა. კაკაბაძე თბილისის 83-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

18. მ. ო. მილორავა—ქუთაისის მე-9 საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე

19. ნ. ვ. კონნოვა—თბილისის მე-13 საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე

20. ლ. ვ. ნოსალი—რუსთავის მე-7 საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე

21. მ. ა. მელქონიანი—გეგეჭკორის რ-ნის ბანძის საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

გ) მესამე ხარისხის დიპლომით:

1. ლ. ა. კუზნეცოვა—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ვ. ი. ტელშევა—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

3. რ. ა. ხვოლესი—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

4. ა. გ. ტანდოევ—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

5. ა. ვ. არუთინოვა—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

6. ლ. გ. ხელაია—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

7. ლ. ა. გურგენიძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

8. ა. ა. ხვოლესი—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

9. მ. ქ. ჩილოჩავა—თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

10. ვ. გ. ბარამიძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

11. ვ. ა. ფრიშლინგი—თბილისის მე 9 საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე

12. ა. ო. გაბაძიან—თბილისის 104-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

13. ი. გ. დიკი—თბილისის 37-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

14. მ. გ. ქათამაძე—ბათუმის 1-ლი საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე

15. ტ. ვ. მიტროფანოვა—ბათუმის მე-3 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

16. რ. ე. ბინიაურიშვილი—ქუთაისის მე-18 საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

17. ი. ე. ხარებავა—ფოთის 1-ლი საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

18. რ. ს. პაიჭაძე—ფოთის მე-7 საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

19. ო. ი. კიკალიშვილი—გეგეჭკორის რაიონის ბანძის საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

20. ე. მ. კარახანიანი—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის IX კლასის მოსწავლე

დ) სიგელებით:

1. ლ. პ. ნამგალაძე—თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

2. თ. ბ. თევზაძე—თბილისის მე-5 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

3. ა. ა. კარაპეტიანი—თბილისის 104-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

4. ვ. ი. ჩერნუშკინი—თბილისის 37-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

5. ა. ა. ერმიჩუკი—თბილისის 78 ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

6. ლ. ა. ჩობანიანი—თბილისის 101-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

7. ლ. პ. ჩუმაევი—ცხინვალის მე-3 საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

8. მ. ბუზიაშვილი—ქუთაისის მე-9 საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე

გ) გამოეცხადოთ მადლობა:

1. ა. ი. მაისურაძეს—თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

2. გ. ა. ნეჩესნიუკს თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

3. ა. გ. გარანინს თბილისის 42-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლეს

4. გ. ი. კორძაიას—თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

5. ს. ვ. გოლჩანოვას—თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

6. დ. ს. ბუკზელს—თბილისის 37-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

7. ნ. ვ. გოგობერიძეს—თბილისის 37-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

8. ვ. ს. ისახანიანს თბილისის 104-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

9. ს. დ. ტუპალოვას—თბილისის 25-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

10. ა. ი. ნაჭყებიას თბილისის 37-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

11. ო. ა. არნევს—თბილისის 43-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

12. ე. რ. გიორგაძეს—თბილისის 37-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

13. ვ. ი. ჩერნიხს—თბილისის 64-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლეს

14. მ. გ. თალაკვაძეს—თბილისის 91-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

15. ვ. პ. კავტუნს—თბილისის 64-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

16. ა. ა. შევცოვს—სოხუმის მე-2 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

17. ვ. ტ. ცხადაიას—სოხუმის მე-5 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

18. რ. რ. იჩქიტიძეს—ბათუმის 1-ლი საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

19. ლ. პ. სოლოვიოვას—ბათუმის მე-18 საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

20. ვ. ს. საჩკოვს—ქუთაისის მე-10 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

21. ლ. ა. კრილატიხს—წყალტუბოს საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლეს

22. ტ. ა. ზუევას—ქუთაისის მე-9 საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

23. კ. ა. შერმადინს—რუსთავის მე-17 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს

24. რ. გ. ნადირაძეს—სამტრედიის მე-3 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლეს

25. ლ. ვ. გვასალიას—ცხაკაიას მე-3 საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეს

2. დაჯილდოვდნენ

ა) პირველი ხარისხის დიპლომით (ფიზიკა):

1. თ. გოგიჩაიშვილი—ქუთაისის 62-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

2. ა. გოგოხია—ზუგდიდის მე-2 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ვ. პესკოვი—ქ. ბათუმის მე-5 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

4. ო. რუდენკო—ქ. თბილისის 41-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

5. ლ. ტოლსტოპიატოვა—ქ. ცხინვალის მე-6 საშ სკოლის XI კლასის მოსწავლე

6. ა. ხალიავკინი—ქ. თბილისის 43-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

7. მ. გუჯაბიძე—ქ. ფოთის მე-3 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

8. ა. ტურკინი—ახალციხის 1-ლი საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

9. რ. კარაპეტიანი—ქ. თბილისის 42-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

ბ) მეორე ხარისხის დიპლომით:

1. თ. მთვარაძე—ქ. ფოთის მე-2 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

2. ს. ხაჟომია—ქ. თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

3. ნ. გომანი—გაგრის მე 2 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

4. გ. ხუჭუა—ქ. ბათუმის მე-8 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

5. რ. აინბინდერი—ქ. ფოთის მე-4 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

6. ნ. არაბადისიანი—ქ. თბილისის 66-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

7. ბ. შულიაკოვი—ქ. სოხუმის მე-4 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

8. ბ. გაბარაევი—ქ. ცხინვალის მე-6 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

9. ა. ალამინი—ქ. სოხუმის მე-10 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

10. ბ. იაკობაშვილი—ქ. თბილისის 66-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

11. ს. სავიჩი—ქ. სოხუმის მე-12 საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე

12. ვ. ალექსანდროვი—ქ. სოხუმის მე-19 საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. გ. რისკოვი—ქ. ქუთაისის მე-9 კლასის მოსწავლე

ბ) მესამე ხარისხის დიპლომით:

1. გ. ნიჟარაძე—ქ. თბილისის 61-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე
2. ვ. ლავგილავა—ქ თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე
3. ი. ტოლიაშვილი—ცხინვალის რაიონის ქსუისის საშ. სკოლა X კლასის მოსწავლე
4. მ. ვ. კვირიკაშვილი—ცაგერის საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
5. ნ. პოპიაშვილი—ქ. თბილისის 62-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
6. თ. წულუკიძე—ბათუმის 1-ლი საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
7. რ. იჩქიტიძე—ქ. ბათუმის 1-ლი საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
8. მ. ლავგილავა—ქ. სოხუმის მე-5 საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე
9. ნ. იობიძე—წყალტუბოს რაიონის ოფურჩხეთის საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე
10. ი. მელნიჩენკო—ქ. თბილისის 81-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
11. გ. რაბინოვი—ქ. ბათუმის მე-15 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
12. ლ. ბოსტანჯიანი—გაგრის მე-2 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
13. ვ. პასენკო—ქ. სოხუმის მე-14 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
14. ბ. ბოსაკი—გაგრის მე-2 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
15. ვ. რაბინსკი—ქ. თბილისის მე-20 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
16. ი. ბარანოვი—გაგრის მე-2 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
17. ვ. წივწივაძე—ქ. ბათუმის მე-3 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე
18. ი. რატვინსკი—ქ. თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

19. ი. მელამედი—ქ. თბილისის 42-ე საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

20. ტ. ნეპაშევა—ქ. ბათუმის მე-3 საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე

21. ნ. გონგაროვი—გაგრის მე-4 საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე

22. ს. დადუნაშვილი—ქ. ქუთაისის მე-9 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

23. ვ. ჩუპრინი—ქ. თბილისის 66-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

24. თ. რუპტეშევი—ქ. სოხუმის მე-10 საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

25. ა. რჩეულიშვილი—ალვანის საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე

3. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი 1965—66 სასწავლო წლიდან ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადების ცალ-ცალკე ჩატარება; ამ მიზნით თბილისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატთან შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი, ნორჩ მათემატიკოსთა მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩასატარებლად, ხოლო ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან—ნორჩ ფიზიკოსთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი.

4. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ მათემატიკოსთა მომავალი რესპუბლიკური ოლიმპიადების დებულება და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 16 ოქტომბრის ბრძანება № 1103

### რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების ახალი, 1965/66 სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების უმრავლესობამ სათანადო ღონისძიებები გაატარა ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად და ნორმალურად განახლებისათვის. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 53 და № 59 საბავშვო ბაღებმა (გამგეები მ. ჩუბინიძე, ნ. ეგნატაშვილი) დროულად ჩაატარეს რემონტი, ლამაზად და ესთეტიკური მოთხოვნილების შესაბამისად მოაწყვეს შენობის ინტერიერი, გაამწვანეს და ფიზკულტურული იარაღებით შეავსეს ეზოები, შეიძინეს დგამ-ავეჯი და რბილი ინვენტარი, სათამაშოები, სასწავლო ნივთები და დიდაქტიკური მასალა. ამ საქმეში მათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს საშეფო ორგანიზაციებმა (№ 53 საბავშვო ბაღის შეფი „სოიუზლიფტი", დირექტორი ვ. კუკულავა; № 59 საბავშვო ბაღის შეფი ქ. თბილისის საბურავების ქარხანა და ქ. თბილისის გაზის სარემონტო კანტორა, დირექტორები ე. ებრაელიძე, რ. მუსერიძე). ასევე კარგად გამოიყენეს საშეფო ორგანიზაციების, მშობელთა კომიტეტების დახმარება და დროულად განაახლეს სასწავლო წელი თბილისის № 2 სანატორიული, № 6, № 14 ბაგა-ბაღებმა, № 13, № 21, საჩხერის № 1, ზესტაფონის № 1 საბავშვო ბაღებმა (გამგეები ე. აბაშიძე, ვ. მაისურაძე, მ. ჩიქობავა, ც. ხარაძე, ა. სიხარულიძე, ე. მუმლაძე, ე. ყანჩაველი). ზოგ სკოლამდელ დაწესებულებაში თანამშრომელთა ძალებით შეაკეთეს და შეღებეს ინვენტარი (ქ. თბილისის № 2 სადღეღამისო, № 104 საბავშვო ბაღები, № 12 ბაგა-ბაღი, გამგეები ფ. დგებუაძე, ქ. პროზოროვა, ქ. ბალანჩივაძე).

მიუხედავად ამისა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის

საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: ქ. ჭიათურის არცერთი სკოლამდელი დაწესებულება მზად არ არის ახალი სასწავლო წლისათვის. საბავშვო ბაღებში არ არის დამთავრებული რემონტი, ეზოები მოუწესრიგებელია, რუსულ საბავშვო ბაღში რემონტის გამო შეწყვეტილია მუშაობა, რის შესახებაც განათლების განყოფილებას არ უცნობებია განათლების სამინისტროსათვის. განათლების განყოფილებას აგრეთვე არ მიუღია ქმედითი ზომები ახალგახსნილი № 4 საბავშვო ბაღის კადრებით დროულად დაკომპლექტებისათვის, მაშინ როდესაც სკოლამდელი საქმის სპეციალისტები საკმაო რაოდენობით ჰყავდათ აღრიცხვაზე აყვანილი. ამ საბავშვო ბაღში სამეურნეო ნაწილის გამგე მხოლოდ მ/წლის 13 სექტემბერს დაინიშნა.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის მე-14 საბავშვო ბაღმა (გამგე ე. ფავლენიშვილი) სრულიად მოუმზადებლად და არანორმალურ პირობებში განაახლა მუშაობა. შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ჭერი ჩამონგრეულია, იატაკი ჩამტვრეულია. ზოგიერთ ტანსაცმლის კარადას კარი ჩამოვარდნილი აქვს. სათამაშოების უმრავლესობა დამტვრეულია, საბავშვო ბაღს არ აქვს კონტაქტი დამყარებული საშეფო ორგანიზაციებთან და მშობელთა კომიტეტებთან. მათი დახმარება საბავშვო ბაღისადმი ძალზე სუსტია. არახარისხიანი რემონტია ჩატარებული აგრეთვე ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის 61 ე საბავშვო ბაღში (გამგე ა. შველიძე), ქ. თბილისის 47-ე, 61-ე და ვანის საბავშვო ბაღებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმე და ა. შ.

ზოგიერთ საბავშვო ბაღში ყურადღება არ ექცევა ეზოს კეთილმოწყობასა და სისუფთავეს (კალინინის რაიონის მე-4 ბაგა-ბაღი), ხოლო, ზოგან კიდევ აღმზრდელის ჩაცმულობა და ვარცხნილობა შეუფერებელია საბავშვო დაწესებულებისათვის.

ვანისა და წითელწყაროს საბავშვო ბაღები მოუმზადებელი შეხვდნენ სასწავლო წელს. აკლიათ დგამ-ავეჯი, სასწავლო ნივთები, სათამაშოები, ეზოები სათანადოდ არაა მოწყობილი.

ზოგიერთი განათლების განყოფილება შესაფერ კონტროლს, ხელმძღვანელობას და დახმარებას არ ახორციელებს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე და არ ღებულობს ქმედით ზომებს

სასწავლო წლის ნორმალურად და ორგანიზებულად დაწყებისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) მიიღონ ყველა ზომა, რათა შექმნან პირობები სკოლამდელ დაწესებულებათა ნორმალური მუშაობისა და ბავშვთა სწორად აღზრდისათვის,

ბ) სისტემატური კონტროლი დააწესონ პედაგოგიური პერსონალის მუშაობაზე, სასწავლო წლის დაწყებამდე შეადგინონ სამუშაო გეგმები, პედაგოგიურ თათბირებზე დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის გაუმჯობესების მიზნით;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა ჩაცმულობის საქმეს;

დ) უზრუნველყონ შენობების რემონტების დროულად და ხარისხიანად ჩატარება; მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ საშეფო ორგანიზაციებთან, მშობელთა კომიტეტებთან და მათი დახმარებით მიაღწიონ დაწესებულების მატერიალური ბაზის მოწყობასა და განმტკიცებას.

ე) სისტემატური კონტროლი დააწესონ სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის საქმეზე;

2. გაფრთხილებულ იქნან ქ. ჭიათურის განათლების განყოფილების გამგე თ. მოდებაძე, ქ. თბილისის 47-ე, 61-ე, ვანის რაიონის საბავშვო ბაღების გამგეები ნ. ფარცხალაძე, ა. შველიძე და თ. ლორთქიფანიძე სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო წლის დაწყების საქმეში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის.

3. მიღებული იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის მე 14 საბავშვო ბაღის მუშაობის შემოწმების შედეგები განხილული იქნება ცალკე.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ყველა ზომა, რათა სკოლამდელ დაწესებულებებში რემონტები და ეზოების კეთილმოწყობა როგორც წესი ტარდებოდეს სასწავლო წლის დაწყებამდე (10 სექტემბრამდე);

ბ) უზრუნველყონ სკოლამდელი დაწესებულებები დგამ-ავეჯით, რბილი ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შესაფერისი კადრების შერჩევისა და დანიშვნის საქმეს როგორც განათლების სისტემის, ასევე სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში;

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკებთან და დასახონ კონკრეტული ღონისძიება მომავალი სასწავლო წლის დროულად და ორგანიზებულად განახლებისათვის.

5. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (უფროსი გ. აბდუშელიშვილი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 21 ოქტომბრის ბრძანება № 1118

### საქართველოს სსრ რვაწლიან და საშუალო სკოლებში ნორჩ ფიზიკოსთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

ნორჩ ფიზიკოსთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 5 ოქტომბრის № 1057 ბრძანების შესაბამისად რესპუბლიკის რვაწლიანსა და საშუალო სკოლებში 1965 წლის 1-ლ ნოემბრიდან 1966 წლის 20 აპრილამდე ჩატარდეს ნორჩ ფიზიკოსთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადა.

2. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მირიანაშვილი მათე—ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;
2. კვიმსაძე ვიქტორ—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური განყოფილების უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);
3. ვ. ოსტროვსკაია—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილე;
4. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი;
5. პარკაძე ვახტანგ—თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი;
6. მიქაძე აბესალომ—პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. ზარაფოვი გიორგი—თბილისის სახ. უნივერსიტეტის კიბერნეტიკის განყოფილების გამგე;

8. კობახიძე ვალერიანი—თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი;

9. ტონია სერგო—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საწარმოო სწავლების განყოფილების უფროსი;

10. ქლენტი შალვა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტის დირექტორი;

11. ლონდაძე დავით—ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის დოცენტი;

12. ხაზარაძე ოთარ—პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის ასისტენტი;

13. აბზიანიძე ტარასი—რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, პენსიონერი;

14. ოთარაშვილი შევასტი—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტის გამგე.

3. ნორჩ ფიზიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის მუდმივმოქმედი დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

4. პირველი სარაიონო (საქალაქო) ტური ჩატარდეს 6 თებერვალს, მეორე ზონალური ტური—13 მარტს, ხოლო რესპუბლიკური ტური ჩატარდეს 10 აპრილს.

5. რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და პერიოდულად განიხილოს ოლიმპიადის მიმდინარეობის საკითხები;

ბ) დროულად ჩაატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით.

6. ნორჩ ფიზიკოსთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების (საორგანიზაციო, სასწავლო, სამივლინებო, სასტამბო) გაწევის ნება დაერთოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად გააცნონ ფიზიკის მასწავლებლებს ნორჩ ფიზიკოსთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება;

ბ) ადგილზე შექმნან ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადის ჩატარებისათვის საორგანიზაციო კომიტეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად შეარჩიოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს საზონათაშორისო კომიტეტთა შემადგენლობანი.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1966 წლისათვის გაითვალისწინოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩატარებისათვის რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის 500 კილოგრამი საბეჭდი ქაღალდი.

11. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მიმდინარეობას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 15 ოქტომბრის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ნორჩ ფიზიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ

1. ნორჩ ფიზიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით, ყოველი წლის სექტემბრიდან მომდევნო წლის მაისამდე.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა ფიზიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლაში ფიზიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კულტურის ამაღლებას ამ დისციპლინაში.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესარჩევ სასკოლო ტურში გამარჯვებულ რვაწლიანი და საშუალო სკოლების VII—XI კლასების მოსწავლეებს, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება: ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; ბ) რაიონული და საქალაქო კომიტეტები ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებთან, რომლებსაც ამტკიცებენ განათლების შესაბამისი განყოფილებათა გამგეები; ბ) ზონის კომიტეტები, რომლებსაც სკოლების სამმართველოსა და რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარდგენით ამტკიცებს განათლების მინისტრი.

5. რესპუბლიკური და ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეთათვის აწყობენ მეცნიერ მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და ატარებენ პრაქტიკულ ვარჯიშს საოლიმპიადო ხასიათის ამოცანებზე. მუშაობას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი აწარმოებს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში (თბილისი, აკ. წერეთლის პრ. № 1), ხოლო ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები მათ მიერ შერჩეულ პუნქტებში, ლექციების განრიგს სკოლებს უგზავნიან თბილისში—რესპუბლიკური, ხოლო სხვა რაიონებსა და ქალაქებში ადგილობრივი კომიტეტები.

6. ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადა ტარდება სამ ტურად: პირველი სარაიონო (საქალაქო), მეორე—ზონალური და მესამე რესპუბლიკური. სამივე ტური დასწრებულია. პირველი, სარაიონო (საქალაქო) ტური ტარდება რაიონის (ქალაქის) ცენტრში, მეორე—ზონის ცენტრში, მესამე, რესპულიკური—თბილისში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

საზონათაშორისო ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 18 ზონად, ზონის ცენტრებად აღებულია: 1. ქ. თბილისი—ქ. თბილისის, ქ. რუსთავისა და გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის; 2. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის; 3. ქ. ბათუმი—აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის; 4. ქ. ცხინვალი—სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სკოლების მოსწავლეთათვის; 5. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ქ. ტყიბულის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, წულუკიძისა და ვანის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 6. ცაგერი—ცაგერისა და ლენტეხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 7. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის; 8. ცხაკაია—ცხაკაიას, ხობის, ჩხოროწყუს, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 9. ზუგდიდი—ზუგდიდის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 10. ზესტაფონი—ქ. ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 11. ქ. გორი—ქ. გორის, გორის, ბორჯომის, კასპის, მცხეთის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 12. ახალციხე—ახალციხის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 13. თეთრიწყარო—თეთრიწყაროს, დმანისის, წალკის, ბოლნისისა და

მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 14. თელავი—თელავის, ლაგოდეხის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 15. გურჯაანი—გურჯაანის, წითელწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 16. დუშეთი—დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 17. მახარაძე—მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 18. ამბროლაური—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის.

ზონაში შემავალი რაიონების (ქალაქების) სკოლების (პირველ ტურში გამარჯვებული) მოსწავლეები იკრიბებიან ზონის ცენტრში მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად.

მესამე რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობენ ზონალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლეები.

7. პირველი სარაიონო (საქალაქო) ტური ჩატარდება თებერვალში, მეორე ზონალური ტური—მარტში, მესამე რესპუბლიკური—აპრილში. პირველი ტურის ჩატარებამდე სკოლებში 30 იანვრამდე უნდა ჩატარდეს ოლიმპიადაში მონაწილეთა შესარჩევი სასკოლო ტური ფიზიკაში; სასკოლო ტურის ამოცანებს ადგენენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები.

8. თებერვლამდე სკოლები სარაიონო (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტს უგზავნიან იმ მოსწავლეთა სიებს, რომლებიც დაშვებულნი იქნებიან ოლიმპიადის პირველ სარაიონო (საქალაქო) ტურზე.

9. სარაიონო (საქალაქო) ტურს ატარებს რაიონის (ქალაქის) საორგანიზაციო კომიტეტი; მეორე ზონალურ ტურს—ზონის საორგანიზაციო კომიტეტი; მესამე ტურს—კი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

10. სამივე ტურის ამოცანებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. პირველი სარაიონო (საქალაქო) და მეორე ზონალური ტურისათვის დალუქულ პაკეტებს ამოცანებით საორგანიზაციო კომიტეტები ფოსტით მიიღებენ.

11. სარაიონო (საქალაქო) 1-ლი ტურის ჩატარების დღეს დალუქულ პაკეტს ამოცანებით, საკლასო ოთახში, ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით ხსნის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო ზონალური ტურის ჩატარების დღეს კი ზონალური ტურის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი.

12. სარაიონო (საქალაქო) 1-ლი ტურის წერით ნამუშევრებს მუშაობის დამთავრების შემდეგ იბარებს რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. საორგანიზაციო კომიტეტი ნამუშევრებს შეამოწმებს და ტურში გამარჯვებულთა სიას წარუდგენს ზონის საორგანიზაციო კომიტეტს, ხოლო ზონალური მე-2 ტურის წერით ნამუშევრებს 5 დღის განმავლობაში შეამოწმებს ზონის საორგანიზაციო კომიტეტი და გამარჯვებულ მოსწავლეთა ნამუშევრებს უგზავნის რესპუბლიკურ კომიტეტს.

13. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ სამ-სამი ამოცანა; დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 3 ასტრონომიული საათით.

14. ნამუშევრები ფასდება ქულებით. ამოცანის სწორი და რაციონალური გზით ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, სწორი მაგრამ არასრული ამოხსნა ერთი ქულით, ხოლო არასწორი ამოხსნისათვის მონაწილეს ქულა არ ეწერება.

15. ტურის მონაწილე მოსწავლეები, რომლებიც მიიღებენ არა ნაკლებ 5 ქულისა 6 შესაძლებლიდან, დაიშვებიან შემდეგ ტურში მონაწილეობის მისაღებად.

16. ზონალურ მე-2 ტურში გამარჯვებულ მოსწავლეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამოიწვევს თბილისში მე-3 ტურში მონაწილეობის მისაღებად.

17. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასაჯილდოებლად. ჯილდოების გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში.

18. ოლიმპიადის დასკვნითი, მე-3 ტურის შედეგები გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულთა სათანადო სკოლა-ინტერნატებისა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკის ფაკულტეტებზე ჩარიცხვის დროს.

19. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დააჯილდოებს იმ მასწავლებლებს, რომლებიც განსაკუთრებულ აქტივობას გამოიჩენენ სკოლებში ფიზიკის წრეებთან მუშაობაში, გასწევენ ფიზიკის ცოდნათა პროპაგანდას და ხელს შეუწყობენ ფიზიკის კულტურის დონის ამაღლებას მოსწავლე ახალგაზრდობაში.

**ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი:**

**ქ. თბილისი, აკ. წერეთლის პროსპექტი № 1, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 22 ოქტომბრის ბრძანება № 1130

### მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის მოსახლეობაში ანტირელიგიური აღზრდის მდგომარეობის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის განხორციელების უზრუნველსაყოფად განათლების ორგანოებისა და სკოლების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია ჩატარებული.

ქმედითი ღონისძიებები ტარდება იმისათვის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გაზრდილი დონის შესაბამისად საშუალო განათლება უზრუნველჰყოფდეს ცოდნის მაღალ დონეს, კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპების შეთვისებას, შრომითსა და პოლიტექნიკურ მომზადებას. ამასთან დაკავშირებით ყველა სასკოლო სახელმძღვანელოში საკმაო რაოდენობით არის მოცემული მასალა მოსწავლეებში მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობის გამომუშავების მიზნით, რასაც ბევრი სკოლა და მასწავლებელი მოხდენილად იყენებს.

მიუხედავად ამისა, ათეისტური აღზრდის დარგში ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში ცუდად დგას ათეისტური აღზრდა, რითაც სარგებლობენ რელიგიური კულტის მსახურნი, რომლებიც ცდილობენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ არა მარტო მოსწავლეები, არამედ სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც. კიდევ მეტი, ისლამური და ებრაული რელიგიების მიმდევარი ზოგიერთი მშობელი კვლავ სარწმუნოებრივ ადათ-წესებს მისდევს და ბავშვებს ნორმალური სწავლისათვის სათანადო პირობებს არ უქმნის. ასე, მაგალითად, სამტრედიის რაიონის დაბა კულაშის I და II, დაბა საჩხერის მეორე, ქ. ონის პირველი და მეორე, ქ. ქუთაისის 24-ე, თბილისის 66-ე და 67-ე, ცხინვალის პირველ საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში ზოგიერთი მოსწავლე, ასრულებს რა რელიგიურ წესებს, რელიგიური დღესასწაულების დღეს არ ცხადდება სკოლაში, არ ასრულებს სასკოლო დავალებებს. მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის. დმანისის რაიონების აზერბაიჯანული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მოსწავლე გოგონებს ნაადრევად ათხოვებს ან კიდევ 13—14 წლის შესრულების შემდეგ სკოლაში არ უშვებს, რაც, ცხადია, დიდად უშლის ხელს ამ რაიონებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის გაძლიერების მიზნით;

ა) გააუმჯობესონ მეცნიერულ-ათეისტური მუშაობა, რისთვისაც განსაკუთრებული მოთხოვნები წაუყენონ სკოლებს და მასწავლებლებს, გადაჭრით გააძლიერონ მოსწავლეთა ათეისტური აღზრდა, უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ კომუნისტური მსოფლმხედველობის საფუძვლების დაუფლება.

ბ) მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეთა მატერიალისტური მსოფლმხედველობის აღზრდა იწყებოდეს უმცროსი კლასებიდან და ხორციელდებოდეს ყველა სასწავლო დისციპლინის სწავლების პროცესში;

გ) განსაკუთრებული მოთხოვნანი წაუყენონ ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ფიზიკის. ქიმიის მასწავლებლებს, რადგან ეს საგნები ათეისტური პროპაგანდისათვის უხვს და საინტერესო მასალას შეიცავენ;

დ) ათეისტური აღზრდის მიზნით ფართოდ გამოიყენონ მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა საუბრები, ლექციები, მოხსენებები, საღამოები, ექსკურსიები, კულტლაშქრობანი და სხვა;

ე) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლისას სისტემატურად შეამოწმონ ათეისტური აღზრდის მდგომარეობა, რაც მკაფიოდ უნდა ჩანდეს საინსპექტორო ნარკვევ მასალებში, და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ვ) მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის მიზნით მაქსიმალურად გამოიყენონ მეცნიერების ის დიდი მიღწევები, რაც სსრ კავშირმა მოიპოვა ხელოვნური თანამგზავრების გაშვებით კოსმოსის დაუფლების საქმეში.

2. ქ. თბილისის, ქუთაისისა და ცხინვალის, საჩხერის, სამტრედიისა და ონის რაიონების განათლების განყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში მოსწავლეთა ათეისტურ აღზრდას და მიაღწიონ ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

3. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (გ. ფოფხაძე) გაითვალისწინოს ცალკეული სასწავლო დისციპლინების მიხედვით ათეისტური თემების დამუშავება.

4. მასწავლებელთა საკურსო და სასემინარო ღონისძიებებში გარკვეული საათები დაეთმოს ათეისტური აღზრდის თემებს.

5. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 30 ოქტომბრის ბრძანება № 1165

### 1964/65 სასწავლო წლის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგებმა გვიჩვენა, რომ 1964/65 სასწავლო წლის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა წინა წლებთან შედარებით ამ გამოცდებზე სხვადასხვა საგანში საგრძნობლად უკეთესი მომზადება გამოამჟღავნეს.

მიმდინარე სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან წარმატებით ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღისა და საღამოს განყოფილებებზე 1006 კაცი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—1476, შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—247, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში—45, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—219, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—197, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—87, და სხვ.

მკვეთრად ამაღლდა განათლების ორგანოების და სკოლების პასუხისმგებლობა კურსდამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების საქმეში. ამით აიხსნება, რომ მედალოსანთა დიდმა უმრავლესობამ ხუთებზე ჩააბარა მაპროფილებელი საგნები და ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში. მაპროფილებელ საგნებში (წერა, ზეპირი) ხუთებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა 223, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 145, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—185 მედალოსანი.

მიუხედავად ამისა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა გამოააშკარავეს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილის მომზადების დაბალი დონე, რაც ამ სკოლების დირექტორების, სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეების, მასწავლებლებისა და განათლების ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია.

1964/65 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო: მათემატიკაში (წერა, ზეპირი)—307, ფიზიკაში—106, ქიმიაში—69, ქართულ ლიტერატურაში—119 აბიტურიენტმა; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში: მათემატიკაში—339, ფიზიკაში—338, ქიმიაში—83, ქართულ ლიტერატურაში—6; საქართველოს ზოოტექნიკურ სავეტერინარო ინსტიტუტში: ქიმიაში—84, ფიზიკაში—14, ქართულ ლიტერატურაში—17; ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში: ქართულ ლიტერატურაში—161, რუსულ ლიტერატურაში—7, მათემატიკაში—115, ქიმიაში—65, ფიზიკაში—4, გეოგრაფიაში—28, ისტორიაში—18, უცხო ენაში—2; ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში: ქართულ ლიტერატურაში—58, ისტორიაში 91, მათემატიკაში 23, რუსულ ლიტერატურაში—38, ქიმიაში—15, ფიზიკაში—8, უცხო ენაში—7, გეოგრაფიაში—1 აბიტურიენტმა და ა. შ.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთმა ნაწილმა განსაკუთრებით დაბალი მომზადება გამოამჟღავნა ქართულ ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში. ქართულ ლიტერატურაში გამოცდისას გამომჟღავნდა ლიტერატურული ტექსტების შინაარსის სუსტი ცოდნა; ბევრი აბიტურიენტი ვერ ახერხებდა ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს, უფრო მეტიც, ზოგმა ვერ შეძლო წინასწარ წაკითხული მოკლე ტექსტის შინაარსის გადმოცემა; ბევრ წერით ნამუშევარში უხეში მორფოლოგიური, სტილისტიკური, პუნქტუაციური და სხვა სახის შეცდომებია დაშვებული.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნა მათემატიკაში მისაღებ გამოცდებზე ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა გარკვეულმა ნაწილმა; ზოგიერთმა მათგანმა არ იცოდა შემოკლებული გამრავლების ფორმულები, წილადის მნიშვნელში ირაციონალობის მოსპობა, ლოგარითმების ძირითადი თვისებები, ტრიგონომეტრიული გან-

ტოლების ამოხსნა, ამოცანის პირობის მიხედვით განტოლების შედგენა და სხვა. განსაკუთრებით სუსტად არიან დაუფლებული მათემატიკის კურსს მედალოსნები ლ. ქ. დოლბაძე (ხობის რაიონი, ნოჯიხევის საშ. სკოლა, დირექტორი პ. გოგია, მასწავლებელი ვ. სადალაშვილი), ო. შ. ბერულავა (ჩხოროწყუს რაიონი, ხაბუმეს საშ. სკოლა, დირექტორი ბ. ჩალიგავა, მასწავლებელი ლ. გორდელაძე), ც. ი. ბეჟაშვილი (გურჯაანის რაიონი, კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი, დირექტორი ს. ანჯაფარიძე, მასწავლებელი ვ. ჯაფოშვილი), ლ. შ. შეყილაძე (ლაგოდეხის რაიონი, ყარსუბნის საშ. სკოლა, დირექტორი ვ. ლობჟანიძე, მასწავლებელი ი. ინაშვილი). ამასთან, საპროგრამო მასალის ზოგიერთი საკითხის უცოდინარობა გამოიჩინეს მათემატიკაში მედალოსნებმა დ. დ. გორგაძემ (ქ. თბილისის 45-ე საშ. სკოლა, დირექტორი თ. ჭანტურიშვილი, მასწავლებელი ვ. შარაშენიძე), ლ. გ. ბეშიძემ (ამბროლაურის რაიონი, ლიხეთის საშ. სკოლა, დირექტორი დ. მიქაუტაძე, მასწავლებელი შ. გოგსაძე), გ. ვ. წილოსანმა (ლანჩხუთის პირველი საშ. სკოლა, დირექტორი გ. ჩხაიძე, მასწავლებელი გ. იმნაძე), ი. პ. სიხარულიძემ (ჩოხატაურის პირველი საშ. სკოლა, დირექტორი ე. კუჭავა, მასწავლებელი გ. იმნაძე).

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზიკაში წერითმა გამოცდებმა გამოავლინა, რომ ფიზიკის სწავლების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: კურსდამთავრებულთა ნაწილმა არ იცის ფიზიკური ერთეულები და ვერ იძლევა ფიზიკური ცნებების და სიდიდეების ზუსტ განსაზღვრას, არ შესწევს ფიზიკური კანონების მათემატიკურად გამოსახვისა და ფორმულების გამოყვანის უნარი, არ შეუძლია ფიზიკური კანონების პრაქტიკულად გამოყენება, სუსტად იცის ნახაზების და სქემების შედგენისა და აგების ტექნიკა, ნავარჯიშები არ არის და ვერ ახერხებს ამოცანების ამოხსნას. მოუთმენლად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ფიზიკაში (წერა) მედალოსნებმა ლ. ბიწაძემ (ლაგოდეხის რაიონი, ყარსუბნის საშ. სკოლა, დირექტორი ვ. ლობჟანიძე, მასწავლებელი ი. ლომიძე), ტ. გ. ფეიქრიშვილმა (გარდაბნის რაიონი, კოჯრის საშ. სკოლა, დირექტორი გ. გრძელიძე, მასწავლებელი ი. პაპუნაშვილი), ც. გ. უთნიაშვილმა (ქ. თბილისის 67-ე საშ. სკოლა, დირექტორი გ. ვალიშვილი, მასწავლებელი გ. გუნცაძე), ნ. ა. ზითანიშვილმა (გარდაბნის რაიონი, სართიჭალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშ. სკოლა, დირექტორი შ. ულრელიძე, მასწავლებელი თ. ბურა-შვილი).

დაბალი ცოდნით მოვიდნენ გამოცდებზე ქიმიაში მედალოსნები ნ. ს. არველაძე (ქ. თბილისის 112-ე საშ. სკოლა, დირექტორი გ. გოგუაძე, მასწავლებელი ნ. მალლაფერიძე), ნ. ლ. გოგიშვილი (ქ. თბილისის 119-ე საშ. სკოლა, დირექტორი ა. ასატუროვი, მასწავლებელი ქ. კევლიშვილი), ც. ვ. ბაკურაძე (დაბა ორჯონიკიძის მეორე საშ. სკოლა, დირექტორი ვ. ლეჟავა, მასწავლებელი ქ. ლომსაძე); ი. გ. სტეპანოვი (დუშეთის საშ. სკოლა, დირექტორი ვ. ტუნტურიშვილი, მასწავლებელი ვ. ბოჭორიშვილი), ტ. გ. თალაკვაძე (ლანჩხუთის პირველი საშ. სკოლა, დირექტორი გ. ჩხაიძე, მასწავლებელი ე. კარანაძე), ი. ა. ოყროშიძე (ქ. თბილისის 41-ე საშ. სკოლა, დირექტორი ი. გოცირიძე, მასწავლებელი დ. ნაცვლიშვილი), ლ. პ. კოტორაშვილი (გარდაბნის რაიონი, სართიჭალის საშ. სკოლა, დირექტორი შ. ულრელიძე, მასწავლებელი ვ. ნახუცრიშვილი), ნ. დ. ნემსაძე (წყალტუბოს რაიონი, დერჩის საშ. სკოლა, დირექტორი შ. კაკიტაძე, მასწავლებელი ნ. მიქაუტაძე), ნ. გ. ახალაია (ჩხოროწყუს სოფლის ახალგაზრდობის საშ. სკოლა, დირექტორი ი. ქებურია, მასწავლებელი ბ. თოლორდავა), ნ. გ. გუგუტაშვილი (ქ. თბილისის 56-ე საშ. სკოლა. დირექტორი ე. ცერცვაძე, მასწავლებელი თ. კალანდარაშვილი).

არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს უცხო ენებში მედალოსნებმა ც. გ. ჯავახიშვილმა (ქ. თბილისის 67-ე საშ. სკოლა, დირექტორი ვ. ვალიშვილი, მასწავლებელი ც. ქორქია), ნ. ნ. ბოლაშვილმა (ყვარლის მე-2 საშ. სკოლა, დირექტორი გ. კევლიშვილი, მასწავლებელი ბ. ღელაღუტაშვილი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილის ცოდნის ასეთი დაბალი დონე იმის შედეგია, რომ დირექტორები, დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში და განათლების ადგილობრივი ორგანოები ამ საგანზე არსებული მკაფიო და კატეგორიული მითითებების მიუხედავად, სუსტ კონტროლს უწევენ მასწავლებელთა მუშაობას და აშკარად ურიგდებიან ლიბერალიზმს. ზოგან უხეშად ირღვევა საგამოცდო ინსტრუქცია. ასე, მაგ. ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის საშუალო სკოლაში, 1964—1965 სასწავლო წლის ბოლოს, ატესტატის მისაღები გამოცდების პროცესში, მათემატიკაში წერითი გამოცდისას, წერით ნამუშევარზე გამოცდის დამთავრების დროის აღნიშვნის შემდეგ იქნა ამოხსნილი

განტოლება, სწორედ მედლით დაჯილდოებული მოსწავლეების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გაუქმდეს საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების დადგენილებები ლ. დოლბაძის (ხობის რაიონი, ნოჯიხევის საშ. სკოლა), ო. შ. ბერულავას (ჩხოროწყუს რაიონი, ხაბუმეს საშ. სკოლა), ც. ი. ბექაშვილის (კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი), ლ. შ. შეყილაძის, დ. ლ. ბიწაძის (ლაგოდეხის რაიონი, ყარსუბნის საშ. სკოლა), ტ. გ. ფეიქრიშვილის (კოჯრის საშ. სკოლა), ც. გ. უთნიაშვილის (ქ. თბილისის 67-ე საშ. სკოლა), ნ. ა. ზითანიშვილის (გარდაბნის რაიონი, სართიჭალის საშ. სკოლა) ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების შესახებ და მიეცეს მათ ჩვეულებრივი ნიმუშის ატესტატები.

დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებებმა 1965 წლის პირველ დეკემბრამდე უზრუნველყონ აღნიშნულ კურსდამთავრებულთა სახელზე გაცემული ოქროსა და ვერცხლის მედლების ნიმუშების ატესტატების დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ ნაცვლად ჩვეულებრივი სახის ატესტატების მიღება.

2. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისა, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის დირექტორებს შ. ულრელიძეს (გარდაბნის რაიონი, სართიჭალის საშ. სკოლა) ა. გოგიას (ხობის რაიონი, ნოჯიხევის საშ. სკოლა), ვ. ლობჟანიძეს (ლაგოდეხის რაიონი, ყარსუბნის საშ. სკოლა), ს. აბჯაფარიძეს (კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი), გ. გრძელიძეს (გარდაბნის რაიონი, კოჯრის საშ. სკოლა), გ. ვალიშვილს (ქ. თბილისის 67-ე საშ. სკოლა), ბ. ჩალიგავას (ჩხოროწყუს რაიონი, ხაბუმეს საშ. სკოლა) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლისათვის დირექტორებს თ. ჭანტურიშვილს (ქ. თბილისის 46-ე საშ. სკოლა), ე. კუჭავას (ჩოხატაურის პირველი საშ. სკოლა), დ. მიქაუტაძეს (ამბროლაურის რაიონი, ლიხეთის საშ. სკოლა), გ. ჩხაიძეს (ლანჩხუთის პირველი საშ. სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

3. საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის მასწავლებლებს: თ. ბურაშვილს (საგარეჯოს რაიონი, სართიჭალის საშ. სკოლა),

ვ სადალაშვილს (ხობის რაიონი, ნოჯიხევის საშ. სკოლა) ი. ინაშვილს (ლაგოდეხის რაიონი, ყარსუბნის საშ. სკოლა), ლ. გორდელაძეს, ჩხოროწყუს რაიონი, ხაბუმეს საშ. სკოლა), ვ. ჯაფოშვილს (კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი), ი. პაპუაშვილს (კოჯრის საშ. სკოლა), გ. გუნცაძეს (ქ. თბილისის 67-ე საშ. სკოლა), ი. ლომიძეს (ლაგოდეხის რაიონი, ყარსუბნის საშ. სკოლა) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

4. საგნის არადამაკმაყოფილებელი სწავლებისათვის მასწავლებლებს ვ. შარაშენიძეს (ქ. თბილისის 46-ე საშ. სკოლა), ნ. შარაშენიძეს (ჩოხატაურის პირველი საშ. სკოლა), გ. იმნაძეს (ლანჩხუთის პირველი საშ. სკოლა), შ. გოგსაძეს (ამბროლაურის რაიონი, ლიხეთის საშ. სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

5. წინადადება მიეცეს ამ დადგენილებაში დასახელებული რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს არსებითად გააუმჯობესონ კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე, ქმედითი ზომები მიიღონ სწავლებაში ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებამ შეისწავლონ 1964/65 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

7. განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1966 წლის პირველ იანვრამდე საგანგებოდ შეისწავლონ დასახელებულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და მიიღონ ქმედითი ზომები იმ მასწავლებელთა და სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველჰყოფენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას და ამ მხრივ გატარებული ღონისძიების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1966 წლის პირველ იანვრამდე.

8. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) გაითვალისწინოს დასახელებული სკოლების მუშაობის შემოწმება, ხოლო ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის საშ. სკოლის საკითხი საგანგებოდ შეისწავლოს და შედეგების შესახებ მოახსენოს ოლეგიას.

9. ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი სწავლების დონის მკვეთრად ასამაღლებლად.

ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში".

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 5 ნოემბრის ბრძანება № 1186

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს თავის მუშაობაში გარკვეული მიღწევები აქვს მოპოვებული პედაგოგიკის საკითხების კვლევის, მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების აღზრდის საქმეში. 1964 წლის გეგმის მიხედვით ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების მიერ დამუშავებულია 64 თემა, ჩატარებულია 9 სამეცნიერო სესია, მათ შორის 5 გამსვლელი.

1964 წლის განმავლობაში ინსტიტუტს გამოცემული აქვს 31 ნაშრომი. ამას გარდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ინსტიტუტის თანამშრომლებს გამოქვეყნებული აქვთ 80-დე სტატია და წერილი სწავლებისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

1964 წლის მანძილზე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს მასწავლებლებთან და მშობლებთან წაკითხული აქვთ 130-დე ლექცია-მოხსენება, მოსმენილი აქვთ 1600-დე გაკვეთილი და სხვადასხვა პედაგოგიურ და მეთოდურ საკითხებზე ჩატარებული აქვთ კონსულტაციები 180-ზე მეტ მასწავლებელთან. მნიშვნელოვანი მუშაობაა აგრეთვე ჩატარებული XVI სამეცნიერო პედაგოგიკური კონფერენციის მომზადებისა და ჩატარების საქმეში. ადგილებზე ჩატარებული „პედაგოგიური კითხვის" შედეგად წარმოდგენილი 600 მოხსენებიდან შეირჩა და დაშვებულ იქნა სექციებში წასაკითხავად 360 მოხსენება; გადამუშავდა, დაიბეჭდა და განათლების ადგილობრივ ორგანოებს დაეგზავნა სახელმძღვანელოდ „პედაგოგიური კითხვის" სანიმუშო თემატიკა, მოეწყო ინსტიტუტის ხაზით გამოქვეყნებული შრომების საჯარო განხილვები და სხვა.

მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება ასპირანტებთან. 1964 წლის პირველი იანვრისათვის ინსტიტუტში ირიცხებოდა 19 ასპირანტი.

არსებულ მიღწევებთან ერთად ინსტიტუტის მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

ინსტიტუტის სექტორებისა და მეცნიერ თანამშრომელთა ინდივიდუალურ გეგმებში არაა დაცული ერთიანობა. ზოგ სექტორს სამუშაო გეგმა არ გააჩნია (სკოლამდელი აღზრდის სექტორი).

სამეცნიერო შრომების შესრულების მიმდინარეობის შესახებ განხილულ საკითხებზე დოკუმენტები შედგენილია ნაჩქარევად, ისინი არ ასახავენ საქმის ფაქტიურ შინაარს (სკოლამდელი აღზრდის, მხატვრული აღზრდის და სხვა). სექტორებში ნაშრომების განხილვა არ ხდება ერთიანი წესით: ზოგჯერ ნაშრომი იკითხება სექტორის სხდომაზე, ზოგჯერ კი მისი გაცნობა ხდება სექტორის ერთ-ერთი წევრის მიერ გაკეთებული ინფორმაციის ან წინასწარ დაწერილი რეცენზიით, რომელიც იმავე სექტორის თანამშრომლის მიერ არის შედგენილი.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე მცირე რაოდენობით იხილება ცალკეული სექტორების მიერ აპრობირებული ნაშრომები. არაა დადგენილი შესასრულებელი სამეცნიერო შრომის მოცულობა ინსტიტუტის მუშაკთათვის.

მეცნიერ მუშაკთა დატვირთვის ნორმების დადგენასა და დაზუსტებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ინსტიტუტს დღემდე არ აქვს დამტკიცებული დებულება.

არ არის სათანადო კონტროლი დაწესებული თანამშრომელთა მიერ ნაშრომების დროულად წარმოდგენაზე დადგენილი მოცულობით.

1964 წელს შესასრულებელი 64 ნაშრომიდან 1965 წლის თებერვალში შეუსრულებელი იყო 16 შრომა. მოცულობის მიხედვით შრომა არ ჰქონდათ შესრულებული: დ. გურგენიძეს, თ. უსტიაშვილს, თ. გელაშვილს, ვ. ტატიშვილს, თ. იაკოვლევას ზ. ჩიქოვანს, შ. შათირიშვილს, სვ. გამსახურდიას, ქ. დემეტრაძეს, გ. ჭანიშვილს, ქ. ტუსკიას, შ. ჭოხონელიძეს, ქ. მაჩაბელს, ლ. ხუხუნს, ნ. კარჭაულს, შ. შუბლაძეს.

ნაშრომების ხარისხიანად შესრულების თვალსაზრისით, დადებით მხარეებთან ერთად, შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატება: ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა არაა ამოწურული, ანდა გადატვირთულია მიმოხილვითი ხასიათის მსჯელობებით. არის შემთხვევები, როდესაც ნაშრომის შინაარსი თემას არსებითად ვერ პასუხობს. ზოგიერთ შრომაში, რომელსაც მეთოდური ხასიათი აქვს, არაა სათანადოდ გამოყენებული მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება, ავტორები ნაკლებად მიმართავენ პედაგოგიურ ექსპერიმენტებს, არ ჩანს მეთოდური და პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტა, არაა გაკეთებული დასკვნები. მეთოდური რეკომენდაციები ყოველთვის არ ემყარება სწავლების პრაქტიკიდან აღებულ მაგალითებს. ზოგიერთი ნაშრომი დაწერილია გაუმართავი ენით, ნაჩქარევად, ხშირია ორთოგრაფიული, სტილისტიკური, პუნქტუაციური და აზრობრივი შეცდომები.

მაგალითად: მეცნიერი თანამშრომლის გ. ქირიას ნაშრომი „პროგრამირებული სწავლების ზოგიერთი ფსიქოლოგიური საკითხი“ ავტორის ორწლიანი თემის პირველ ნაწილს წარმოადგენს. ეს შრომა გეგმით უნდა შეიცავდეს 5 საავტორო ფურცელს. წარმოდგენილი ნაწილი დაახლოებით ერთი საავტორო ფურცელია.

ავტორი მიმოხილვას უკეთებს დაპროგრამებული სწავლების შესახებ მხოლოდ არსებულ ლიტერატურას. ნაშრომში არაა განმარტებული ზოგიერთი ცნება, რომელიც მხოლოდ ვიწრო სპეციალისტებისათვისაა გასაგები და არა მასობრივი სკოლის მასწავლებლებისათვის. შრომაში ადგილი აქვს მრავალ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ და სტილისტიკურ შეცდომას, რაც ზოგჯერ აზრების დამახინჯებასაც იწვევს და გაუგებარს ხდის მას.

უმცროს მეცნიერ თანამშრომელს ე. კაკაბაძეს შესრულებული აქვს თემა „კლასგარეშე კითხვა ქართულ ლიტერატურაში (VIII კლასი)“. ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მასალები მასში არ არის ღრმად გაანალიზებული და განზოგადებული. ნაშრომში შეინიშნება ენობრივი ხასიათის შეცდომები, გაუმართავი წინადადებები და ბუნდოვანი აზრები.

მეცნიერ თანამშრომელს ა. ფარჯანაძეს წარმოდგენილი აქვს ნაშრომი „მათემატიკაში მოსწავლეთა სპეციალიზაციის პირველი შედეგები თბილისის სკოლებში (42-ე, 37-ე სკოლების და მე-2 სკოლა-ინტერნატის მაგალითებზე)“. ნაშრომის შინაარსი არ პასუხობს სათაურს. ნაცვლად სპეციალიზებული სკოლების მუშაობის შედეგების ანალიზისა, 13 გვერდზე მოცემულია სასწავლო გეგმების ცხრილები და პროგრამები, აგრეთვე ერთი მოსმენილი გაკვეთილის სტენოგრამა 11 ნაბეჭდ გვერდზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი მის

ავ-კარგიანობაზე. 13 გვერდზე კი მოცემულია საგამოცდო ბილეთე-ბი და სხვა მრავალი ისეთი საკითხი, რომელსაც თემასთან არსე-ბითი კავშირი არა აქვს.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის ს. გამსახურდიას ნაშრომში— „ისტორიულ ცნებათა ათვისების გზები და მეთოდები საშუალო სკოლაში“ —ზოგიერთი ცნების მნიშვნელობის დედააზრი გახსნილი არაა კონკრეტული, ცხოვრებისეული მაგალითებით, აგრეთვე ყვე-ლა დებულება და მეთოდური რეკომენდაცია არ ემყარება სწავლე-ბის პრაქტიკიდან აღებულ მაგალითებს.

მეცნიერ თანამშრომელი ქ. დემეტრაძე თავის ნაშრომში „სა-ქართველოს სსრ ქიმიურ საწარმოთა გამოყენება მეტალოიდების სწავლებისას“ განიხილავს შავსა და ფერად მეტალურგიას, ორგა-ნულ ნივთიერებათა ტექნოლოგიას, აგრეთვე ქაღალდის წარმოებას, რომლებსაც თემასთან კავშირი არა აქვს. ნაშრომში არ ჩანს მეთო-დური და პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტა.

მეცნიერ მუშაკის ბ. იმნაძის თემის—„რუსული ენის სწავ-ლების მეთოდიკა ქართული სკოლის VII კლასში“ (რუსულ ენაზე), შინაარსი სათაურს არ შეესაბამება, ქართული სკოლის VII კლასში რუსული ენის სწავლების მეთოდიკის ნაცვლად ავტორი ნაშრომის პირველ ნაწილში იძლევა უმთავრესად რუსული და ქართული ენე-ბის გრამატიკული კატეგორიების შედარებას, ხოლო მეორე ნაწილ-ში—ქართული სკოლის VII კლასში რუსული ენის სწავლების სა-კითხებზე არსებული მეთოდური ლიტერატურის მიმოხილვას. ნაშ-რომში არაა მოცემული გრამატიკული თემების კონკრეტული და-მუშავება ლიტერატურული მასალის პროგრამასთან დაკავშირე-ბით.

მსგავსი მდგომარეობაა ინსტიტუტის ზოგიერთ სხვა ნაშრო-მებშიც.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს ინსტიტუტის დირექციას (გ. ფოფხაძე, გ. სა-ყვარელიძე):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ინსტიტუტის სა-მეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკის შედგენას, პირველ რიგ-ში გაითვალისწინოს აქტუალური საკითხები სკოლის ორგანიზაციის, აღზრდისა და სწავლების შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების შესახებ;

ბ) სექტორების სამუშაო გეგმები განიხილოს და დაამტკიცოს სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე და მტკიცე კონტროლი დააწესოს მათ შესრულებაზე;

გ) უზრუნველყოს შესაბამის სექტორებზე მეცნიერ-მუშაკთა მიერ შესრულებული ნაშრომების განხილვა მათ შესახებ წერილობითი რეცენზიების საფუძველზე და სექტორზე მოწონებული ნაშრომები განიხილოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციების მომზადებასა და მის მაღალ დონეზე ჩატარებას. როგორც წესი, ყველა წარმოდგენილ ნაშრომზე იწერებოდეს რეცენზია;

ე) მიიღოს ზომები სექტორების მიხედვით მეთოდური კრებულების გამოცემის აღდგენისათვის, აგრეთვე მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილებათა განზოგადების მიზნით მოამზადოს პედაგოგიურ კონფერენციებზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებებისა და წერილების კრებული და იზრუნოს მისი გამოცემისათვის;

ვ) მეტი ყურადღება დაუთმოს სკოლასთან კავშირის განმტკიცების საქმეს, გააძლიეროს პედაგოგიური ექსპერიმენტების ჩატარება საბაზო ან სხვა სკოლებში, მიღებული შედეგები განიხილოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე იმ ვარაუდით, რომ ამ შედეგებმა გამოხატულება ჰპოვონ მეცნიერ მუშაკთა შრომებში;

ზ) სკოლების მუშაობის შესწავლისას მეტი ყურადღება დაუთმოს როგორც არსებულ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების, ისე მიღწევათა გამოვლინებას, მიღებული შედეგების საფუძვლიანად გაანალიზებას და ამის შედეგად სათანადო ღონისძიებათა დასახვას;

თ) შეადგინოს და 1966 წლის პირველი თებერვლისათვის წარმოადგინოს ინსტიტუტის დებულების პროექტი განათლების სამინისტროს კოლეგიაზე დასამტკიცებლად;

2. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (თ. ეგაძე) 1966 წლის 1-ლი იანვრისათვის წარმოადგინოს წინადადება პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისათვის თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის გამოყოფის შესახებ პედაგოგიური ექსპერიმენტების ჩასატარებლად.

3. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე):

ა) პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტი-

ტუტის დირექციასთან შეთანხმებით გაითვალისწინოს ექსპერიმენტულ სკოლაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო თანხები;

ბ) განიხილოს და წარმოადგინოს წინადადება პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მეცნიერ მუშაკთა სრულ განაკვეთზე გადაყვანის შესახებ.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (შ. ბუთიკაშვილი) შეისწავლოს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისათვის შესაფერისი შენობის აგების საკითხი და 1966 წლის 1-ლი იანვრისათვის წარმოადგინოს სათანადო წინადადება.

5. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (გრ. ფოფხაძემ) ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე მოახსენოს განათლების სამინისტროს 1966 წლის მარტში.

6. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) და მეთოდურმა განყოფილებამ (ვ. კვიმსაძე) თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 6 ნოემბრის ბრძანება № 1191

### ნორჩ მათემატიკოსთა მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1964/65 სასწავლო წელს ჩატარებულმა ნორჩ მათემატიკოსთა მეცხრე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ შეასრულა თავისი მიზანი და ამოცანები.

1. 1965/66 სასწავლო წლიდან ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური ოლიმპიადიდან გამოყოფასთან დაკავშირებით, ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლ. ჭელიძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი (თავ-რე);
2. მ. ბებურიშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტურის უფროსი (თავ-რის მოადგილე);
3. ვ. ოსტროვსკაია—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილე;
4. გ. მანჯავიძე—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
5. დ. კვესელავა—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის დირექტორი;
6. ლ. მაღნარაძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი;
7. დ. ავაზაშვილი—ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, მათემატიკის კათედრის გამგე;
8. ნ. ლომჯარია—ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი;
9. ა. ბენდუქიძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი;

10. ი. მეცხვარიშვილი—პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტი-ტუტის დოცენტი, მათემატიკის ფაკულტეტის გამგე;

ეროვნული

11. ნ. თოფურიძე—პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მათემატიკის კაბინეტის გამგე;

12. გ. ჯაფარიძე—პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი.

13. ა. სულაქველიძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის მასწავ-ლებელი.

14. ტ. ტყემალაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინის-ტროს სახელმძღვანელოების განყ-ბის უფროსი;

15. ი. შტეინბერგი—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტი-ტუტის მეთოდისტი;

16. ვ. მელაძე—თბილისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებუ-ლი სწავლებიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორი;

17. ო. ღლონტი—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის დირექ-ტორი;

18. ს. გამაზოვი—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავ-ლებელი;

2. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებუ-ლება დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. პირველი სარაიონო, (საქალაქო) ტური ჩატარდეს 1966 წლის 13 თებერვალს; მეორე ტური—ზონალური, ჩატარდეს 13 მარტს, მესამე რესპუბლიკური კი—10 აპრილს.

4. დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს:

ა) უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და პერიოდულად განიხილოს ოლიმპიადის მიმდინარეობის საკითხები;

ბ) დროულად ჩაატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების გან-ყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად გააცნონ მათემატიკის მასწავლებლებს ნორჩ მა-თემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება;

ბ) ადგილზე შექმნან მათემატიკის ოლიმპიადის ჩატარებისა-თვის საორგანიზაციო კომიტეტები.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-სა

ფინანსთა სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) თბილისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატის ბიუჯეტში 1966 წლისათვის გაითვალისწინოს საჭირო თანხა ოლიმპიადების ჩატარებისათვის რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) თბილისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის 500 კგ საბეჭდი ქაღალდი.

8. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მიმდინარეობას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 5 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს კოლეგიის 1965 წლის 5 ნოემბრის
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ

1. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თბილისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატის ბაზაზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით ყოველი წლის სექტემბრიდან მომდევნო წლის აპრილამდე.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მათემატიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლაში მათემატიკის სწავლებას, საწრეო მუშაობას და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კულტურის ამაღლებას ამ საგანში.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესარჩევ სასკოლო ტურში გამარჯვებულ რვაწლიანი და საშუალო სკოლების VI—XI კლასების მოსწავლეებს, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება: ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; ბ) რაიონული და საქალაქო კომიტეტები ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებთან, რომლებსაც ამტკიცებენ სათანადო განათლების განყოფილებათა გამგეები;

5. რესპუბლიკური და ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეთათვის აწყობენ მეცნიერმუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს

მათთვის საჭირო თემებზე და ატარებენ პრაქტიკულ ვარჯიშს საოლიმპიადო ხასიათის ამოცანებზე. მუშაობას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი აწარმოებს თბილისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 49), ხოლო ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები მათ მიერ შერჩეულ პუნქტებში. ლექციების განრიგს სკოლებს უგზავნიან თბილისში რესპუბლიკური, ხოლო სხვა ქალაქებში ადგილობრივი კომიტეტები.

6. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადა ტარდება სამ ტურად: პირველი—სარაიონო (საქალაქო), მეორე—ზონალური და მესამე—რესპუბლიკური. სამივე ტური დასწრებულია. პირველი, სარაიონო (საქალაქო) ტური ტარდება რაიონის ცენტრში, მეორე—ზონის ცენტრში, მესამე რესპუბლიკური—თბილისში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

საზონათაშორისო ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 24 ზონად, ზონების ცენტრად აღებულია:

1. ქ. თბილისი—თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;
2. ქ. რუსთავი—ქ. რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
3. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;
4. ქ. ბათუმი—აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;
5. ქ. ცხინვალი—ს/ოსეთის სკოლების მოსწავლეთათვის;
6. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოსა და მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
7. ქ. სამტრედია—სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
8. ქ. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
9. ცაგერი—ცაგერისა და ლენტეხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
10. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის;
11. ქ. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუს და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;
12. ქ. ზუგდიდი—ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონების მოსწავლეთათვის;
13. ქ. ჭიათურა—ჭიათურისა და საჩხერის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

14. ქ. გორი—ქ. გორის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

15. კასპი—კასპისა და მცხეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

16. ქ. ახალციხე—ახალციხისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

17. ქ. ახალქალაქი—ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

18. ბოლნისი—ბოლნისისა და დმანისის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

19. თეთრი წყარო—თეთრი წყაროსა და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

20. ქ. თელავი—თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21. ქ. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

22. ქ. დუშეთი—დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

23. ქ. მახარაძე—მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ამბროლაური—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

ზონაში შემავალი რაიონების სკოლების მოსწავლეები (პირველ ტურში გამარჯვებულნი) იკრიბებიან ზონის ცენტრში მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად.

7. პირველი სარაიონო (საქალაქო) ტური ჩატარდება თებერვალში, მეორე ზონალური ტური—მარტში, მესამე რესპუბლიკური—აპრილში. პირველი ტურის ჩატარებამდე სკოლებში 30 იანვრამდე უნდა ჩატარდეს ოლიმპიადაში მონაწილეთა შესარჩევი სასკოლო ტური; სასკოლო ტურის ამოცანებს ადგენენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები.

5 თებერვლამდე სკოლები სარაიონო (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტს უგზავნიან იმ მოსწავლეთა სიებს, რომლებიც დაშვებულ იქნებიან ოლიმპიადის პირველ სარაიონო (საქალაქო) ტურზე.

8. სარაიონო (საქალაქო) ტურს ატარებს რაიონის საორგანიზაციო კომიტეტი; მეორე ზონალურ ტურს—ზონის ცენტრის საორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციო კომიტეტი, მესამე ტურს კი — რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

9. სამივე ტურის ამოცანებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. პირველი ტურისათვის დალუქულ პაკეტს ამოცანებით რაიონის საორგანიზაციო კომიტეტი ფოსტით მიიღებს. მეორე ზონალური ტურისათვის დალუქული პაკეტი ამოცანებით ადგილზე მიაქვს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელს, რომელიც მივლინებული იქნება ტურის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის.

10. სარაიონო (საქალაქო) 1-ლი ტურის ჩატარების დღეს, დალუქულ პაკეტს ამოცანებით, საკლასო ოთახში ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით, ხსნის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო ზონალური ტურის ჩატარების დღეს კი — რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი.

11. სარაიონო (საქალაქო) 1-ლი ტურის წერით ნამუშევრებს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, იბარებს რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. საორგანიზაციო კომიტეტი ნამუშევრებს ასწორებს და ტურში გამარჯვებულთა სიას უდგენს ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს, ხოლო ზონალური მე-2 ტურის წერით ნამუშევრებს იბარებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი და გასასწორებლად წარუდგენს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს.

12. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ სამ-სამი ამოცანა; დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით.

13. ნამუშევრები ფასდება ქულებით. ამოცანის სწორი და რაციონალური გზით ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, სწორი, მაგრამ არასრული ამოხსნა ერთი ქულით, ხოლო არასწორი ამოხსნისათვის მონაწილეს ქულა არ ეწერება.

14. ტურის მონაწილე მოსწავლენი, რომლებიც მიიღებენ არა ნაკლებ 5 ქულისა 6 შესაძლებლიდან, დაიშვებიან შემდეგ ტურში მონაწილეობის მისაღებად.

15. ზონალურ მე-2 ტურში გამარჯვებულ მოსწავლეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამოიწვევს თბილისში მე-3 ტურში მონაწილეობის მისაღებად.

16. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში

გამარჯვებულებს წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასაჯილდოებლად. ჯილდოების გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში.

17. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის დასკვნით, მე-3 ტურის შედეგები გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულთა სათანადო სკოლა-ინტერნატებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე ჩარიცხვის დროს.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი:

**ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 49. ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 1191 ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 6 НОЯБРЯ 1965 ГОДА

## о мероприятиях по проведению десятой республиканской олимпиады юных математиков

Отмечаю, что IX Республиканская олимпиада юных математиков, проведенная в 1964—65 учебном году выполнила возложенные на неё задачи.

1. С 1965—66 учебного года, в связи с выделением олимпиады математиков из физико-математической олимпиады, для руководства и проведения олимпиады юных математиков утвердить республиканский организационный комитет в следующем составе:

1. Челидзе В.—профессор Тбилисского государственного Университета (председатель);

2. Бебуришвили М.—нач. школьной инспектуры Министерства просвещения Грузинской ССР (зам. председателя);

3. Островская В.—Зам. Зав. школьным отделом ЦК ЛКСМ Грузии.

4. Манджавидзе Г.—зам. директора Института математики им. А. Размадзе Академии Наук Грузинской ССР;

5. Квеселава Д.—директор вычислительного центра Академии Наук Грузинской ССР.

6. Магнарадзе Л.—профессор Тбилисского государственного Университета, декан механико-математического факультета;

7. Авазашвили Д.— профессор политехнического института им. В. И. Ленина, зав. кафедрой математики;

8. Ломджария Н.—доцент политехнического института им. В. И. Ленина;

9. Бендукидзе А.—доцент Тбилисского государственного Университета;

10. Мецхваришвили Я.—доцент Педагогического института им. Пушкина, зав. кафедрой математики;

11. Топуридзе Н.—зав. кабинетом математики научно-исследовательского института педагогики;

12. Джапаридзе Г.—преподаватель педагогического института им. Пушкина;

13. Сулаквелидзе А.—преподаватель Тбилисского государственного Университета;

14. Ткемаладзе Т.—нач. отдела учебников Министерства просвещения Грузинской ССР.

15. Штейнберг И.—методист Института усовершенствования учителей;

16. Меладзе В.—директор Тбилисской школы-интерната с усиленным преподаванием математики;

17. Гаганидзе О.—директор Тбилисской 42-ой средней школы;

18. Гамазов С.—преподаватель Тбилисской 42-ой средней школи.

2. Положение Республиканской олимпиады юных математиков утвердить (прилагается).

3. Первый районный (городской) тур провести 13 февраля; второй зональный тур провести 13 марта; третий республиканский тур—10 апреля 1966 г.

4. Поручить организационному комитету Республиканской олимпиады:

а) руководить проведением олимпиады и периодически рассматривать вопросы о ходе олимпиады;

б) своевременно провести подготовительную работу и обеспечить районы необходимыми методическими материалами.

5. Министрам просвещения Аджарской и Абхазской АССР, заведующему отделом просвещения Юго-Осетинской Автономной Области, заведующим районными и городскими отделами просвещения:

а) своевременно ознакомить преподавателей математики с положением Республиканской олимпиады юных математиков;

б) для проведения олимпиады юных математиков создать на местах организационные комитеты.

6. Планово-финансовому управлению Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Квачадзе А. Ф.) предусмотреть

в бюджете Тбилисской школы-интерната с усиленным преподаванием математики на 1966 год нужную сумму для проведения олимпиады во всех городах и районах Республики.

7. Управлению снабжения и подсобных предприятий Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Арвеладзе С.) выделить Тбилисской школе-интернату с усиленным преподаванием математики для проведения олимпиады 500 кг печатной бумаги.

8. Настоящий приказ рассмотреть на заседании педагогических советов восьмилетних и средних школ.

9. Управлению школ Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Джавахия Д.) руководить за ходом проведения олимпиады.

О с н о в а н и е: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 5 ноября 1965 года.

Министр просвещения
Грузинской ССР Лашкарашвили Т.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

УТВЕРЖДЕНО
постановлением коллегии Министерства
просвещения Грузинской ССР
от 5 ноября 1965 года

# ПОЛОЖЕНИЕ

## о проведении республиканской олимпиады юных математиков

1. Республиканскую олимпиаду юных математиков проводит Министерство просвещения Грузинской ССР на базе Тбилисской школы-интерната с усиленным преподаванием математики и при участии Тбилисского государственного Университета, Института математики им. А. Размадзе Академии Наук Грузинской ССР, политехнического института им. В. И. Ленина и педагогического института им. Пушкина сентября по апрель ежегодно.

2. Олимпиада ставит целью углубить знания, полученные учащимся по математике в школах, выявить способных учащихся, оказать помощь школам в обучении математике, в проведении кружковой работы по этому предмету и всячески способствовать повышению уровня знаний по этой дисциплине.

3. В олимпиаде могут участвовать учащиеся VI—XI классов—победители в отборочных турах восьмилетних и средних школ, а также воспитанники школ-интернатов и детских домов.

4. Для руководства олимпиадой создается:

а) республиканский организационный комитет, утверждаемый Министерством просвещения Грузинской ССР;

б) районные, городские комитеты при районных и городских отделах просвещения, утверждаемые заведующими соответствующих отделов просвещения;

5. Республиканские и местные организационные комитеты для учащихся, желающих участвовать в олимпиаде, устраивают

лекции научных работников и опытных педагогов на нужные темы и проводят практические упражнения по задачам, характерным для олимпиады.

Республиканский организационный комитет проводит работу в Тбилисской школе-интернате с усиленным преподаванием математики (Тбилиси, проспект Важа-Пшавела № 49), а местные организационные комитеты—в подобранных ими пунктах.

Расписание лекций рассылается школам, в Тбилиси—республиканским, а по другим городам и районам—местными комитетами.

6. Олимпиада юных математиков проводится в три тура:

Первый—районный (городской), второй—зональный и третий республиканский. Все три тура—очные. Первый районный (городской) тур проводится в районном центре, второй—в центре зоны, третий, республиканский—в г. Тбилиси (в Тбилисском государственном Университете).

Для проведения зонального тура Республика разделена на 24 зоны. Центрами зон выделены:

1. г. Тбилиси—для учащихся школ Тбилиси;
2. г. Рустави—для учащихся школ г. Рустави, Гардабанского и Марнеульского районов;
3. г. Сухуми—для учащихся школ Абхазской АССР;
4. г. Батуми—для учащихся школ Аджарской АССР;
5. г. Цхинвали—для учащихся школ Юго-Осетинской АО;
6. г. Кутаиси—для учащихся школ г. Кутаиси, Ткибульского, Цхалтубского и Маяковского районов;
7. г. Самтредиа—для учащихся школ Самтредского, Ванского и Цулукидзевского районов;
8. г. Зестафони—для учащихся школ Зестафонского, Терджольского и Орджоникидзевского районов;
9. Цагери—для учащихся школ Цагерского и Лентехского районов;
10. г. Поти—для учащихся школ г. Поти;
11. г. Цхакая—для учащихся школ Цхакаевского, Абашского, Чхороцкуского и Гегечкорского районов;
12. г. Зугдиди—для учащихся школ Зугдидского, Хобского, Цаленджихского и Местийского районов;

13. г. Чиатура—для учащихся школ Чиатурского и Сачхерского районов;

14. г. Гори—для учащихся школ г. Гори, Горийского, Карельского и Хашурского районов;

15. Каспи—для учащихся школ Каспского и Мцхетского районов;

16. г. Ахалцихе—для учащихся школ Ахалцихского и Боржомского районов;

17. г. Ахалкалаки—для учащихся школ Ахалкалакского и Богдановского районов;

18. Болниси—для учащихся школ Болнисского и Дманисского районов;

19. Тетрицкаро—для учащихся школ Тетрицкаройского и Цалкского районов;

20. г. Телави—для учащихся школ Телавского, Ахметского и Кварельского районов;

21. г. Гурджаани—для учащихся школ Гурджаанского, Сигнахского, Цителцкаройского, Лагодехского и Сагареджойского районов;

22. г. Душети—для учащихся школ Душетского, Тианетского и Казбегского районов;

23. г. Махарадзе—для учащихся школ Махарадзевского, Ланчхутского и Чохатаурского районов;

24. Амбролаури—для учащихся школ Амбролаурского и Онского районов.

Учащиеся школ районов, входящих в зону (победители в первом туре) собираются в центре зоны для участия во втором туре.

7. Первый районный (городской) тур будет проведен в феврале, второй зональный тур— в марте, третий республиканский —в апреле.

До проведения первого тура, до 30 января необходимо провести отборочный школьный тур; задачи школьного тура составляют местные организационные комитеты.

До 5 февраля школы пересылают районному (городскому) организационному комитету список тех учащихся, которые будут допущены к первому районному (городскому) туру олимпиады.

8. Районный (городской) тур проводит районный организационный комитет; второй зональный тур проводит организацион-

ный комитет, созданный в центре зоны, а третий тур—республиканский организационный комитет.

9. Задачи всех туров составляются республиканским организационным комитетом.

Запечатанный пакет с задачами первого тура районный комитет получает почтой. Запечатанный пакет с задачами второго зонального тура доставляет на место представитель республиканского организационного комитета, который будет командирован для руководства проведением тура.

10. Запечатанный пакет с задачами в день проведения первого районного (городского) тура вскрывает председатель районного организационного комитета в присутствии учащихся—участников олимпиады, а в день проведения зонального тура—представитель республиканского организационного комитета.

11. Письменные работы после окончания первого районного (городского) тура сдаются председателю районного организационного комитета. Организационный комитет проверяет эти работы и представляет список победителей тура организационному комитету зонального центра, а письменные работы второго зонального тура вручаются представителю республиканского организационного комитета, который представляет эти работы для проверки республиканскому организационному комитету.

12. Участникам олимпиады предлагается по три задачи. Время для решения этих задач ограничено четырьмя астрономическими часами.

13. Оценка решенных задач производится по очкам. За правильную и рациональным путем решенную задачу засчитывается два очка, за правильное, но недостаточно полное решение—одно очко, а за неправильное решение очки не засчитываются.

14. Учащиеся—участники тура, которые получат не менее пяти очков из шести возможных будут допущены к следующему туру.

15. Учащегося—победителя во втором зональном туре республиканский организационный комитет вызывает в г. Тбилиси для участия в третьем туре.

16. Список победителей в олимпиаде республиканский организационный комитет представляет Министерству просвещения

Грузинской ССР для награждения. Вручение премий будет проходить в торжественной обстановке.

17. Итоги третьего заключительного тура будут приняты во внимание при зачислении победителей в соответствующие школы-интернаты и физико-математические факультеты высших учебных заведений.

Адрес республиканского организационного комитета:

г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела 49.
Школа-интернат с усиленным преподаванием математики.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცირკულარული წერილი № 9/677

11 ნოემბერი, 1965 წელი

**აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს**

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 5 ნოემბერს, შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ 1959 წლის 19 დეკემბერს მიიღეს დადგენილებანი (№ 1233 და № 976) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასების იმ მოსწავლეთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის დაწესების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების მესამე მუხლით 1962/1963 სასწავლო წლის დაწყებამდე IX—XI კლასების მოსწავლეთათვის დაწესებული შეღავათებით სარგებლობის უფლება ენიჭებოდათ აგრეთვე V—VIII კლასების მოსწავლეებსაც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 25 ოქტომბრის № 835 დადგენილებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 2 ნოემბრის № 1722-გ განკარგულებით, მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების V—VIII კლასების მოსწავლეებს IX—XI კლასების მოსწავლეთათვის დაწესებული შეღავათებით სარგებლობის უფლების ვადა გაუგრძელდათ 1967-1968 სასწავლო წლის დაწყებამდე.

გაცნობებთ რა ამას, გავალებთ, იხელმძღვანელოთ ამ დადგენილებით და გაატაროთ საჭირო ღონისძიებანი მის შესასრულებლად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 22 ნოემბრის ბრძანება № 1248

### სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სადამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სადამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში ერთგვარად დადებითი მუშაობა ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად. ამ ტიპის სკოლებში ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის შერჩეული მასწავლებელთა კადრები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გულმოდგინედ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, ბეჯითად ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის და სასურველ შედეგებსაც აღწევს.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში— თ. ჯავახიშვილი (ცხინვალის რაიონის ქსუისის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში—ქ. ზასონოვა (ქ. ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის ქართული სკოლა); მათემატიკაში—ნ. შათირიშვილი (ქ. ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის ქართული სკოლა), ფიზიკაში—გ. გობეჯიშვილი (ზნაურის რაიონის ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა); ქიმიაში—ც. გუჩმაზოვა (ზნაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), ნ. ლოლაძე—ზნაურის რაიონის ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა); გეოგრაფიაში—ვ. გასიტაშვილი (ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა).

მაგრამ, ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები.

არადამაკმაყოფილებელი მუშაობა წარმოებს რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე, წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდების გამოსავლინებლად და სწავლებაში ჩასაბმელად; ასე მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს ოლქში სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სოფლის ახალგაზრდობის 10 სკოლის (60 კლასით და 590 მოსწავლით) ნაცვლად მუშაობს 10 სკოლა, რომელთა 40 კლასში 458 ახალგაზრდა ირიცხება; დაუსწრებელი საღამოს სკოლის გეგმით ნავარაუდევი 14 კლასის ნაცვლად (360 მოსწავლით) მუშაობს 13 კლასი, რომელშიც 202 ახალგაზრდა სწავლობს, ანალოგიური მდგომარეობაა ოლქის მუშა ახალგაზრდობის სკოლებშიც. სულ საღამოს (ცვლის) სკოლებში გეგმით გათვალისწინებული 1406 მოსწავლის ნაცვლად, სწავლობს 1172 ახალგაზრდა.

ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ცალკეულ სკოლებში; მაგალითად, ზნაურის რაიონის ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში გეგმით გათვალისწინებული 7 კლასის ნაცვლად (99 მოსწავლით), მუშაობს 4 კლასი 33 მოსწავლით, მაშინ, როცა ამ სოფლის ტერიტორიაზე მცხოვრები საშუალო და რვაწლიანი განათლების არმქონე 80 ახალგაზრდაა აღრიცხული; მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი იმავე რაიონის სოფ. თერეგვანის, ცხინვალის რაიონის სოფ. კეხვისა და სოფლის ახალგაზრდობის სხვა სკოლებში. ადგილი აქვს კლასების დაუტვირთაობის შემთხვევებს: ზნაურის რაიონის ზნაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მეთერთმეტე კლასში მხოლოდ სამი მოსწავლეა, IX კლასში კი —8 მოსწავლე.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო მუშაობას ატარებენ მოსწავლე ახალგაზრდობასა და სათანადო წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან; ამის გამო ხშირია სასწავლო მეცადინეობაზე მოსწავლეთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევები. ქ. ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის ქართული სკოლის VIII კლასში შემოწმების დღეს პირველი გაკვეთილი გაცდა მოსწავ-

ლეთა გამოუცხადებლობის გამო. იმავე სკოლის V კლასში 18 მოსწავლიდან პირველ გაკვეთილს ესწრებოდა მხოლოდ 4. IX კლასის 21 მოსწავლიდან კი 8 და ა. შ.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ცალკეული საგნების სწავლებაშიც: მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, არ ემზადება გაკვეთილისათვის, მოსწავლეთათვის მოსაწყენად, ზეპირსიტყვიერად გადასცემს გაკვეთილს, საკმაო დაინტერესებას არ იჩენს საღამოს სკოლის მუშაობის პირობების შესწავლისადმი. ყოველივე ამის გამო დაბალია მოსწავლეთა მომზადებაც.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ლიტერატურა ზნაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში. IX, XI კლასების მოსწავლეები ვერ ახერხებენ მასალის დალაგებულად, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას, არადამაკმაყოფილებლად იციან მხატვრული ნაწარმოების ტექსტი, ზეპირად შესასწავლი ადგილები, ღარიბია მათი ლექსიკონი. საგნის მასწავლებელს გრ. სიუკაევს შემოწმების დროისათვის არ ჰქონდა გაკვეთილის გეგმა, 20 ოქტომბრამდე არ ჩაუტარებია საკონტროლო წერა XI კლასში და სხვ.

ცუდად ასწავლის რუსულ ენას და ლიტერატურას ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი გ. ტატაევი. მას მიმდინარე სასწავლო წელს VII, VIII, IX და X კლასებში არც ერთი საკონტროლო და საკლასო წერა არ ჩაუტარებია, ხშირ შემთხვევაში არ აქვს შეტანილი დამუშავებული მასალა საკლასო ჟურნალებში (VII კლასში 22 სექტემბრიდან შემოწმების დღემდე—18 ოქტომბრამდე, VIII კლასში—22 სექტემბრიდან იმავე 18 ოქტომბრამდე და ა. შ.).

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს ვხვდებით მათემატიკის სწავლებაშიც. ცხინვალის რაიონის სოფ. ქსუისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ი. დოგუზოვმა VI კლასში გაკვეთილის მასალა „რიცხვთა აბსოლუტური სიდიდე" ისე გადასცა, რომ მოსწავლეებმა ვერაფერი გაიგეს. მასწავლებელმა მასალის ახსნა დაიწყო სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითით 0 პუნქტიდან ორი ავტომობილის მოპირდაპირე მიმართულებით გასვლის შესახებ, მაგრამ ისე, რომ ეს მაგალითი სრულებით არ დაუკავშირა რიცხვის აბსოლუტურ სიდიდეს. მასწავლებელმა განმარტებაც კი არ მისცა მოსწავლეებს უარ-

ყოფითი და დადებითი რიცხვებისა, აგრეთვე ნულის აბსოლუტური სიდიდის შესახებ. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე აღნიშნული საგნის მასწავლებლები: ლ. კასრაძე (ქ. ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის ქართული სკოლა), ალ. სადღობელაშვილი (ზნაურის რაიონის თერეგავნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), მ. გასიევა და ილ. დოინჯიშვილი (ქ. ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის დაუსწრებელი სკოლა).

იმავე, ქსუისის სკოლაში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება აგრეთვე ფიზიკა (მასწავლებელი ა. ბესტაევი). შემოწმების დღეს —19 ოქტომბერს XI[1] კლასში მასწავლებლის გაკვეთილის ისედაც არასრულყოფილი გეგმა ვერ შესრულდა. მოსწავლეები სრულიად ვერ ერკვევიან ერთეულთა სისტემაში, ხოლო ზოგ მათგანს წარმოდგენაც არა აქვს ერთეულთა საერთაშორისო „SI“ სისტემაზე. მასწავლებელი იძულებული გახდა განმეორებით გადაეცა წინა მასალა. მოსწავლეებს, მართალია, აქვთ ფიზიკის საკლასო და საშინაო დავალებათა რვეულები, მაგრამ მათში ძალიან მცირე რაოდენობით ვხვდებით ამოხსნილ ამოცანებსა და მაგალითებს. სკოლას არ მოეპოვება თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები ფიზიკაში. ამის გამო გაკვეთილები თვალსაჩინოების გარეშე, ზეპირსიტყვიერად ტარდება. მსგავს ნაკლოვანებებს ვხვდებით ფიზიკის სწავლებაში აგრეთვე ზნაურის რაიონის თერეგვანისა და ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებშიც (მასწავლებლები ლ. ხუციშვილი და მ. ნოდარიძე).

დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ცხინვალის რაიონის კეხვის სოფლის ახალგაზრდობის VIII კლასის მოსწავლეებმა ქიმიაში (მასწავლებელი ეკ. ნებიერიძე). მათ წინა გაკვეთილზე ახსნილი მასალის სათაურის—„ელემენტების ვალენტობის განსაზღვრა მათი ნაერთების ფორმულების მიხედვით“ თქმაც გაუჭირდათ. მოსწავლეთა უმრავლესობამ სუსტად იცოდა წინა მასალა, რის გამო გარკვეულად, დამაკმაყოფილებლად ვერ პასუხობდა მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე. მასწავლებელმა რაციონალურად ვერ გამოიყენა გაკვეთილის დრო და ახალი მასალის—„რთული ნივთიერების ფორმულების შედგენა მათი წარმომქმნელი ელემენტების ვალენტობის მიხედვით“—განმტკიცება ველარ მოასწრო.

არადამაკმაყოფილებლად იციან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალები გეოგრაფიაში ქ. ცხინვალის მუშა ახალ-

გაზრდობის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი გ. ჭელ-მახელიძე) მოსწავლეებმა. შემოწმების დღეს 9 მოსწავლიდან ერთმა არ იცოდა გაკვეთილის მასალა. მათ რუკაზე ვერ აჩვენეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მეტიც, ისიც კი არ იცოდნენ, თუ რომელ კონტინენტზე მდებარეობს იგი. მასწავლებელი კლასში არ ატარებს პრაქტიკულ ვარჯიშს სასწავლო, კონტურულ რუკებსა და ატლასებზე. ასევე დაბალ დონეზეა გეოგრაფიის სწავლება ცხინვალის რაიონის ქსუისისა და ზნაურის რაიონის ზნაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებშიც (მასწავლებელი ლ. ჯავახიშვილი და შ. ხარაული).

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი ცალკეული საგნების სწავლების საქმეში მნიშვნელოვანწილად არის შეპირობებული, იმითაც, რომ სკოლებში თითქმის მივიწყებულია მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის. იშვიათად ვხვდებით მეთოდკომისიებს, მასწავლებლობა მოკლებულია პედაგოგიურ-მეთოდურ ლიტერატურას და სხვ.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები საჭირო საქმიან კავშირს არ ახორციელებენ სათანადო პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობასთან, არ აინტერესებენ მათ წარმოებაში დასაქმებული მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სწავლით, ოლქის რაიონებსა და სკოლებში დღემდე არ არის შექმნილი საღამოს სკოლების დამხმარე ხელშემწყობი კომისიები; ის მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად, დღემდე არ სარგებლობენ მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის შესახებ.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასერიოზულ დამოკიდებულებას იჩენენ სასკოლო მუშაობის დაგეგმვისადმი. სკოლების წლიური და პედაგოგიური საბჭოების ნახევარწლიური სამუშაო გეგმები არ წარმოადგენს მთელი კოლექტივის შემოქმედებითი ძიებით შექმნილ დოკუმენტებს; მათში იშვიათად შეხვდებით საღამოს სკოლის მუშაობის სპეციფიკური პირობებით ნაკარნახევ საკითხებს. ქ. ცხინვალის დაუსწრებელ საშუალო სკოლას (დირექტორი რ. ალბოროვი) სრულიად არ აღმოაჩნდა სკო-

ლის წლიური სამუშაო გეგმა. არაიშვიათად ვხვდებით გეგმებში ფორმალიზმის გამოვლინებასაც; მაგალითად, ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის ქართული სკოლის (დირექტორი ივ. გელაძე) წლიურ სამუშაო გეგმაში ვკითხულობთ (სტილი დაცულია): „მოვახდინოთ მოსწავლეთა კომიტეტის გადარჩევები“. ასეთი კომიტეტი კი სკოლაში არ არსებობს; „გავაძლიეროთ სასკოლო ორგანიზაციების მუშაობა“, მაგრამ ასეთი ორგანიზაციები სკოლაში არ არის. ასევე მოუფიქრებლად არის შედგენილი ზნაურის რაიონის ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი ქს. გელუტაშვილი) სამუშაო გეგმა: აქ მასწავლებელთა შორის საათების განაწილება და კლასის ხელმძღვანელთა გამოყოფა 29 სექტემბრისათვის არის გათვალისწინებული, საშემოდგომო გამოცდების ცხრილის შედგენა კი 30 სექტემბრისათვის და ა. შ. მსგავსი ხასიათის შეცდომებს ვხვდებით სკოლების პედაგოგიური საბჭოებისა და კლასის ხელმძღვანელთა გეგმებშიც.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს ვხვდებით აგრეთვე სასკოლო დოკუმენტების წარმოებაში. ცხინვალის რაიონის ქსუისის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ა. გაგლოევი) არა აქვთ მასწავლებელთა პირადი საქმეები, თვით დირექტორს ამ სკოლაში დირექტორად დანიშვნის ბრძანებაც კი არ აღმოაჩნდა. მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები ზნაურის რაიონის თერეგვანის, ცხინვალის რაიონის ქსუისის სოფლის ახალგაზრდობისა და ქ. ცხინვალის დაუსწრებელ სკოლებში. ცხინვალის რაიონის კეხვის, ზნაურის რაიონის ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში დაუნომრავი, ზონარგაუყრელი და განათლების განყოფილებათა მიერ შეუმოწმებელია პედაგოგიური საბჭოების საოქმე წიგნები, რვა კლასის დამთავრების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების სააღრიცხვო წიგნები. ზემოაღნიშნული რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დიდ ნაწილს არა აქვს სკოლის დღიური (მატიანე).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საღამოს (ცვლის) სკოლებს არ მოეპოვებათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული სახელმძღვანელო დოკუმენტები: ამ ტიპის სკოლების შესახებ არსებული სამინისტროს ბრძანებები, ინსტრუქციები, მითითებები და სხვ, ზოგ სკოლას არ გააჩნია განათლების

სამინისტროს მიმდინარე წლის ბრძანებათა და განკარგულებათა მესამე ნომერი კრებული, რომელშიც ამ ტიპის სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესებია გამოქვეყნებული; ეს, თავის მხრივ, არის ერთ-ერთი მიზეზი სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეში აშკარად დანაშაულებრივი შეცდომებისა, რომელთაც ადგილი აქვთ ქ. ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის დაუსწრებელი, ჯავის რაიონის ჯავის, ცხინვალის რაიონის ქსუისისა და სოფლის ახალგაზრდობის სხვა სკოლებში.

სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში არასაკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებენ მასწავლებელთა მუშაობაზე; ისინი ან სულ არ ისმენენ მათ გაკვეთილებს, ან ისმენენ მოუმზადებლად, ყოველგვარი წინასწარი გეგმის გარეშე. ქ. ცხინვალის დაუსწრებელი სკოლის დირექტორი რ. ალბოროვი, ზნაურის რაიონის ზნაურისა და ცხინვალის რაიონის ქსუისის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორები შ. ხარაული და ა. გაგლოევი მიმდინარე სასწავლო წელს არც ერთ გაკვეთილს არ დასწრებიან. ქ. ცხინვალის მუშა ახალგაზრდობის ქართული, ცხინვალის რაიონის კეხვისა და ზნაურის რაიონის ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების—ივ. გელაძის, რ. ნებიერიძის, ქ. გელუტაშვილისა და სასწავლო დარგში ცხინვალის დაუსწრებელი სკოლის დირექტორის მოადგილის ი. დოინჯაშვილის მიერ მოსმენილი ისედაც მცირე რაოდენობის (2—5 გაკვეთილი) გაკვეთილების ანალიზები დაბალხარისხოვანია—არ იძლევა წარმოდგენას გაკვეთილზე, მოსწავლეთა მომზადებასა და მასწავლებელთა მუშაობაზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი შეპირობებულია იმითაც, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და მათი ხელმძღვანელები ამხ. ამხ. გ. ძაგოევი, ა. კოზაევი, ი. გაგლოევი, კ. ჯიოევი, ბ. სანაკოევი) არასაკმაო კონტროლსა და დახმარებას უწევენ ამ ტიპის სკოლების მუშაობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და მისი რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლებისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა; აამაღლონ ამ სკოლებისადმი მეთოდური დახმარების დონე. პერიოდულად შეისწავლონ სკოლების მუშაობა და გახადონ იგი ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, აგრეთვე სახალხო განათლების საბჭოების მსჯელობის საგნად;

ბ) მიიღონ ზომები, ერთი მხრივ, ამ სკოლების საკუთარი სასწავლო მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, მეორე მხრივ, კი მათ მიერ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით და ბიბლიოთეკებით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) დროულად გააცნონ სკოლებს საღამოს (ცვლის) სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო დოკუმენტები—დებულებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, მითითებები და სხვ.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. წინასწარ, გულმოდგინედ შეარჩიონ მოსასმენი გაკვეთილები, ჩაატარონ მათი ყოველმხრივი, პედაგოგიურ-მეთოდური ანალიზი და აამაღლონ ამ გაკვეთილების როლი მასწავლებელთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში;

ბ) სისტემატური ღონისძიებანი გაატარონ მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის. იზრუნონ საგნობრივ და, სადაც ეს, მასწავლებელთა სიმცირის გამო, შეუძლებელია, სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებათა შექმნისა და მათი მუშაობის სრულყოფისათვის;

გ) გაითვალისწინონ საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობის სპეციფიკა და შემოქმედებითად მიუდგნენ მას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო მუშაობის დაგეგმვას; გახადონ გეგმები უფრო შინაარსიანი, კონკრეტული, მიზანსწრაფული;

დ) მიიღონ ზომები სკოლის სათათბირო ორგანოს—პედაგოგიური საბჭოს მუშაობის გასაუმჯობესებლად; ამ მიზნით გულდასმით, პედკოლექტივის აქტიური მონაწილეობით, შეადგინონ სამუშაო გეგმები, კარგად მოამზადონ განსახილველი საკითხები და უზრუნველყონ პედსაბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულება;

ე) სისტემატური, საქმიანი კავშირი განახორციელონ ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძ-

ღვანელებთან, უფრო მეტად დააინტერესონ ისინი წარმოებაში და-
საქმებული მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სწავლებით და აღ-
ზრდით;

ვ) მიიღონ ზომები ყველა სასკოლო დოკუმენტის წესრიგში მოსაყვანად, ბოლო მოუღონ ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას;

გ) ყოველდღიური ქმედითი აღმზრდელობითი ღონისძიებანი გაატარონ მოსწავლე ახალგაზრდობის დისციპლინის ასამაღლებლად; მიაღწიონ მათ მიერ გაკვეთილებზე არასაპატიო მიზეზით დაგვიანების, ან სრულიად გამოუცხადებლობის შემთხვევების მკვეთრად შემცირებას;

თ) სკოლებში მოსწავლეთა მიღებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 15 მარტის „მითითებებით საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ";

ვ) მასწავლებლებმა ყოველდღიურად სრულყონ თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნება, მტკიცედ დანერგონ პრაქტიკაში თვალსაჩინოება, უკუაგდონ აბსტრაქციულ-ვერბალური, კონკრეტულ ფაქტებსა და თვალსაჩინოებას მოკლებული სწავლება და მიაღწიონ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მასალების შეგნებულად, გაცნობიერებულად, მტკიცედ ათვისებას.

4. სამხრეთ ოსეთის ოლქის განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. ძაგოევმა):

ა) გაატაროს ორგანიზაციული ღონისძიებანი ამ ბრძანებაში აღნიშნული, არადამაკმაყოფილებლად მომუშავე სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მიმართ;

ბ) კლასების დაუტვირთაობის გამო დახუროს ზნაურის რაიონის ზნაურის სოფლის ახლგაზრდობის სკოლა და მოსწავლეები გადაიყვანოს თერეგვანის საღამოს სკოლაში;

გ) 1966 წლის 15 თებერვლამდე წერილობით მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) მომავალი წლის 20 მარტამდე შეისწავლოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

6. ეს ბრძანება განსახილველად და სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად დაეგზავნოთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქ. ცხინვალის განათლების განყოფილებებს, აგრეთვე საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 19 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 6 დეკემბრის ბრძანება № 1308

## დმანისის რაიონის დიდი დმანისის საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ გასული სასწავლო წლის ნოემბერში განათლების სამინისტროს მიერ დიდი დმანისის საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების დროს ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. მაგალითად, განსაკუთრებით დაბალ დონეზე იდგა ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და სხვა საგნების სწავლება.

განათლების სამინისტროში შემოსული სიგნალების საფუძველზე მიმდინარე წელს ხელმეორედ შემოწმდა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და დადასტურდა, რომ კვლავ არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლები მ. ქოჩაროვი და ვ. ჯალაბაძე); მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების დონე დაბალია. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს არაგულისხმიერად ასწორებენ და ლიბერალურად აფასებენ (მასწ. მ. ქოჩაროვი).

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა დაწყებით კლასებში. მასწავლებელი ლ. პოპოვა სუსტად ფლობს რუსულ და ქართულ ენებს, არ იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკა-მათემატიკის სწავლება (მასწავლებელი ა. ასლანიანცი). XI კლასის მოსწავლეები სუსტად ფლობენ პროგრამულ მასალას ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში, არ იციან ფუნქციის ცვალებადობისა და განსაზღვრის არე. ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში სახეების მიხედვით არ ტარდება საკონტროლო წერები.

სკოლაში ფიზიკას ასწავლის არასპეციალისტი ა. ასლანიანცი, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში უარი განუცხადებია ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნის სწავლებაზე, მაგრამ, სპეციალისტის უყოლობის გამო, მაინც მისთვის მიუციათ ეს საგანი.

დაბალ დონეზე დგას გეოგრაფიის სწავლება. VI და IX კლასების მოსწავლეებმა სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ამ საგანში. მასწავლებელი ნ. მოსესოვა (პიონერხელმძღვანელი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყ-ბის II კურსის სტუდენტი) და შ. ოსკანოვი (ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყ-ბის III კურსის სტუდენტი) სუსტად ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. მასწავლებლები ნ. მოსესოვა და შ. ოსკანოვი გაკვეთილებზე როგორც მეცნიერული, ისე მეთოდური ხასიათის შეცდომებს უშვებენ.

1965/66 სასწავლო წელს სკოლას არ შეუსრულებია ბავშვთა კონტინგენტის ჩაბმის გეგმა, ნაცვლად 323 მოსწავლისა სწავლობს 319, ხოლო ერთი მოსწავლე სკოლიდან განთესილი.

სკოლაში არასწორადაა შერჩეული კლასის ხელმძღვანელები, ასე, მაგალითად, მასწავლებლები მ. კობახიძე, მ. გულალაშვილი და თ. მოლაშვილი, რომლებსაც V, VI, VII კლასებში თითო-თითო ან ორ-ორი საათი აქვთ, კლასის ხელმძღვანელებად არიან გამოყოფილი.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა. მეთოდგაერთიანებები არაა შექმნილი დებულების მიხედვით. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და გერმანული ენის მასწავლებლები ერთად არიან გაერთიანებული, ასევე მათემატიკის, ფიზიკის, ხაზვისა და სხვა საგნების მასწავლებლები.

ზოგადია კლასის ხელმძღვანელთა გეგმები. ნაკლებად არის გათვალისწინებული საკითხები ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის შესახებ. რეგულარულად არ ტარდება პედსაბჭოს სხდომები, პირველ მეოთხედში ჩატარებულია პედსაბჭოს სხდომა ერთხელ და ისიც სასწავლო წლის დასაწყისში—აგვისტოს თვეში.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება: სასწავლო წლის პირველ მეოთხედში 319 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 79 მოსწავლე. მოსწავლეთა მიერ გაცდენილია 5469 გაკვეთილი, აქედან არასაპატიო მიზეზით 3773 გაკვეთილი.

სკოლაში არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი,

ცალკეული დღეები ხშირად გადატვირთულია ან მათემატიკური, ან ჰუმანიტარული დისციპლინებით, მსგავსი და მონათესავე საგნები ცხრილში მოსაზღვრე საათებშია გათვალისწინებული.

აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ სკოლის დირექტორი ვ. ასლამაზაშვილი და დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ე. როთველაძე ვერ ართმევენ თავს მუშაობას, ვერ ახორციელებენ ქმედით დახმარებასა და კონტროლს მასწავლებლების მუშაობაზე. დირექტორმა ვერ შექმნა კოლეგიალური ატმოსფერო მასწავლებელთა შორის და ვერ დარაზმა ისინი სკოლაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რის შედეგადაც პედაგოგთა ერთი ნაწილი დირექტორის წინააღმდეგ მოქმედებს, ხოლო დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში მხარს უჭერს ამ დაჯგუფებას. სკოლაში ხშირად ირღვევა დისციპლინა. გასულ სასწავლო წელს სკოლიდან მოიპარეს ზარი; XI კლასის მოსწავლეებმა დირექტორის გაკვეთილზე მერხები შეაბრუნეს და გაკვეთილის ჩატარების საშუალება არ მისცეს. სკოლაში ადგილი აქვს დირექტორსა და მასწავლებელთა შორის უთანხმოებას და უწმაწური სიტყვებით შელაპარაკებას, რის მოწმენი მშობლებიც და მოსწავლეებიც არიან.

აღნიშნული ნაკლოვანებები და სკოლაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა იმის შედეგიცაა, რომ განათლების განყოფილება (გამგე ამხ. ა. მანსუროვი) სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს და კონტროლს ვერ უწევს სკოლის მუშაობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დმანისის რაიონის დიდი დმანისის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ასლამაზიშვილი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და მასწავლებლებთან უტაქტო დამოკიდებულებისათვის განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ე. როთველაძე სკოლაში არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის ღირსია თანამდებობიდან განთავისუფლებისა, მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში მის ხანგრძლივ ავადმყოფობას, აგრეთვე იმას, რომ მას შესწევს უნარი ნაკლოვანებათა გამოსწორებისა, ვუცხადებ სასტიკ საყვედურს და ვაფრთხილებ, თუ იგი მკვეთრად არ გარდაქმნის მუშაობას სკოლაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მის წინააღმდეგ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

2. დმანისის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე [illegible] მანსუროვი):

ა) ერთი კვირის ვადაში შეარჩიოს დირექტორის კანდიდატურა და წარმოადგინოს განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად;

ბ) ჩამოართვას როგორც არასპეციალისტებსა და სუსტად მომუშავეებს ფიზიკის გაკვეთილები ა. ასლანიანცს და გეოგრაფიის გაკვეთილები მ. ოსკანოვსა და ნ. მოსესოვას;

გ) გააფრთხილოს მ. ქოჩაროვი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), ა. ასლანიანცი (მათემატიკის მასწავლებელი), ლ. პოპოვა (რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), თუ მკვეთრად არ გარდაქმნიან თავის მუშაობას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები;

დ) უზრუნველყოს ამ ბრძნების განხილვა რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად;

ე) შეისწავლოს სასწავლო წლის მესამე მეოთხედში დიდი დმანისის საშუალო სკოლის მუშაობა და მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს.

3. კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) დიდი დმანისის საშუალო სკოლა უზრუნველყოს მასწავლებელთა საჭირო კადრებით·

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) და კადრების. განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 6 დეკემბრის ბრძანება № 1309

## საშუალო და რვაწლიანი განათლების შესახებ დოკუმენტების გაფორმების, აღრიცხვისა და გაცემის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ

განათლების სამინისტროში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ რვაწლიანი განათლების ატესტატების შევსებისა და გაცემის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ხშირად მოწმობებისა და ატესტატების შევსებასა და გაცემას განათლების განყოფილებები და სკოლები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. მარტო 1964/65 სასწავლო წელს არასწორად შევსების გამო შეცვლილი იქნა რვაწლიანი და საშუალო განათლების 190 მოწმობა და ატესტატი, მათ შორის 14 ოქროსა და 28 ვერცხლის მედალოსნისა.

არასწორად შევსების გამო დიდი რაოდენობით შეცვლილი იქნა მოწმობა-ატესტატები ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, წყალტუბოს, თელავის, სიღნაღის, მარნეულის, ახალციხის, ბოლნისის, გარდაბნის, ზუგდიდის, ყვარლის, ჩხოროწყუს რაიონებში. მოწმობა-ატესტატების შევსების დროს ხშირად არაა დაცული დადგენილი წესები—არ ივსება სუფთად და გარკვეული ხელით, ორთავე მხარეზე (ქართულ-რუსულად); სკოლის ღერბიანი ბეჭედი, რომელიც დასმულია მოწმობა-ატესტატებზე, არ არის გარკვეული და ადვილად ამოსაკითხი, მოწმობა-ატესტატზე ხელს არ აწერენ ინსტრუქციის მიხედვით; ადგილი აქვს საშუალო განათლების ატესტატსა და რვაწლიანი განათლების მოწმობაში ნიშნების ამოშლისა და შესწორების შემთხვევებს. მაგალითად: ახალციხის დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი შ. ტაბატაძე ატესტატის შეუვსებელ სუფთა ბლანკს აწერს ხელს და ამოწმებს ბეჭდით, რის შემდეგ კანცელარიის მუშაკები ავსებენ მას. ატესტატი, რომელიც უნდა გაცემულიყო მ. კეკენაძეზე, შემვსებმა ქართული გვერდის შევსება რუსულად დაიწყო და ატესტატის ბლანკი გააფუჭა, რის გამო იგი შესაცვლელი შეიქნა.

ამავე რაიონის არალის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის (დირექტორი პ. გიქოშვილი) ციური ედუარდის ასულ ცეცხ-

ლაძის ატესტატის ქართული გვერდის ერთი ნაწილი შევსებულია ქართულად, ნაწილი კი—რუსულად. ამგვარად შევსებულ ატესტატს დირექტორი ხელს აწერს და ბეჭდით ამოწმებს.

მარნეულის რაიონის ოფრეთის საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ლავრენტიევი) კურსდამთავრებულის ლარისა ევგენის ასულ გრადუნის ატესტატში შევსებულია მხოლოდ რუსული გვერდი, შევსებისას დაშვებულია შეცდომა სკოლის დასახელებაში, ნიშნები გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიასა და სსრკ ისტორიაში ამოშლილი და გადასწორებულია. ატესტატის ბოლოს გრადუნის ნაცვლად, რომელზეც უნდა გაცემულიყო ატესტატი, მაგდალაევას გვარია ჩაწერილი.

ხობის რაიონის ყორათის რუსული რვაწლიანი სკოლის მიერ (დირექტორი ა. ესებუა) გაცემული მოწმობის ქართული გვერდი შევსებულია ვარდიშა იოსების ასულ გაბედავას სახელზე, რუსული —რაისა დიმიტრის ასულ კევკოს სახელზე.

ხაშურის რაიონის ტეზრის საშუალო სკოლამ (დირექტორი მ. ღონღაძე) 8 კლასის დამთავრების მოწმობა შეავსო მოსწავლე ნუნუ ნოეს ასულ კიკნაძის სახელზე, რომელიც პედსაბჭოს დადგენილებით დატოვებული იყო იმავე კლასში.

არ ხდება დოკუმენტების სათანადო გაფორმება აგრეთვე მოწმობა-ატესტატების დუბლიკატების გაცემის დროს. განათლების განყოფილებათა გამგეები ზოგჯერ არ ადგენენ დადგენილი წესის მიხედვით საჭირო საბუთებს, თავიანთ მომართვებში არ უჩვენებენ, თუ რომელი სკოლა დაამთავრა მოსწავლემ (სწავლების ენის მიხედვით), აქტი და მოწმეთა დადასტურება არ ფორმდება ინსტრუქციის მოთხოვნის მიხედვით.

ზოგიერთ სკოლაში არაა უზრუნველყოფილი მოწმობა-ატესტატების შენახვისა და დაცვის საქმე. გასულ წელს ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის 21-ე საშ. სკოლიდან (დირექტორი გ. თეონესიანი) გატაცებულ იქნა 34 ცალი რვაწლიანი განათლების მოწმობა, გარდაბნის რაიონის ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის სკოლიდან (დირ. ს. წერეთელი) —7 ცალი რვაწლიანი განათლების მოწმობა. მსგავს შემთხვევებს ადგილი აქვს სხვა რაიონებშიც.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა მტკიცედ იხელმძღვანელონ

და დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 17 მაისის დამტკიცებული ინსტრუქცია „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატების და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის წესების შესახებ":

რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებმა პირადად უხელმძღვანელონ მოწმობა-ატესტატების შევსების, გაცემის, აღრიცხვისა და შენახვის საქმეს; ინსტრუქციის შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტები შეავსონ ორივე მხარეზე (ქართულად და რუსულად), სუფთად, ლამაზი და გარკვეული ხელით; არ დაუშვან მოწმობა-ატესტატებში რაიმეს ამოშლა და შესწორება; ხელის მოწერა, ვისაც ეს ეკუთვნის, უნდა იყოს გარკვეული. ბეჭედზე წარწერა ადვილად ამოსაკითხი.

2. განათლების განყოფილებებმა:

ა) ჩაატარონ სკოლის დირექტორების საინსტრუქციო ხასიათის თათბირი აღნიშნულ საკითხზე;

ბ) გააფრთხილონ და მიიღონ საჭირო ზომები იმ დირექტორების მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ დასახელებული ინსტრუქციით დადგენილ წესებს მოწმობა-ატესტატების შევსების, გაცემისა და აღრიცხვის საქმეში.

3. მოწმობა-ატესტატების შევსების, გაცემისა და აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის უხეშად დარღვევისათვის ახალციხის დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორს შ. ტაბატაძეს, ამავე რაიონის არალის საშუალო სკოლის დირექტორს პ. გიქოშვილს, მარნეულის რაიონის ოფრეთის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ლავრენტიევს, ხობის რაიონის ყორათის რუსული რვაწლიანი სკოლის დირექტორს ა. ესებუას, ხაშურის რაიონის ტეზრის საშუალო სკოლის დირექტორს მ. დონლაძეს გამოეცხადოთ საყვედური.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის 21-ე საშ. სკოლის დირექტორი გ. თეონესიანი და გარდაბნის რაიონის ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ყოფილი დირექტორი ს. წერეთელი დასჯილნი არიან მოწმობა-ატესტატების დაცვისა და გაცემის წესების უხეშად დარღვევის გამო.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

# შინაარსი


1. ბრძანება № 565—რესპუბლიკის ზოგიერთი ბაგა-ბაღის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . 3
2. ბრძანება № 988—ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიების ჩატარების შედეგების შესახებ . . . . . . . . 8
3. დადგენილება № 105/27—მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრები კოლექტივის მონაწილეობის შედეგების შესახებ . . . . . 12
4. ბრძანება № 1019—უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ . . . 21
5. ბრძანება № 1057—ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ მათემატიკოსთა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების შესახებ . . . . . . . . . 25
6. ბრძანება № 1103—რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების ახალი 1965—1966 სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 34
7. ბრძანება № 1118—საქართველოს სსრ რვაწლიან და საშუალო სკოლებში ნორჩ ფიზიკოსთა მე-13 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . 38
8. ბრძანება № 1130—მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . 45
9. ბრძანება № 1165—1964—1965 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ . . . . . . . . 48
10. ბრძანება № 1186—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 55
11. ბრძანება № 1191—ნორჩ მათემატიკოსთა მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 61
12. Приказ № 1191—о мероприятиях по проведению десятой республиканской олимпиады юных математиков . . . . . . . . 69
13. ცირკულარული წერილი № 9/677 . . . . . . . . . . . 77
14. ბრძანება № 1248—სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სადამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . 78
15. ბრძანება № 1308—დმანისის რაიონის დიდი დმანისის საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 87
16. ბრძანება № 1309—საშუალო და რვაწლიანი განათლების შესახებ დოკუმენტების გაფორმების, აღრიცხვისა და გაცემის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ . . . . . . . . . 91
17. საძიებელი 1965 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში მოთავსებული მასალებისა . . . . 94

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

## 1965 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში მოთავსებული მასალებისა

## კრებული № 1

1. ბრძანება № 1385—ბორჯომის სამრეწველო სამმართველოს ზონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . 3
2. ბრძანება № 34—წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანისა და სიღნაღის რაიონის ზოგიერთ საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 11
3. ბრძანება № 42—1964 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ 19
4. Приказ № 48—О состоянии и мерах улучшения преподавания русского языка и литературы в нерусских школах Грузинской ССР . . . . 25
5. სასწავლო გეგმა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სისტემის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I—II კლასებისათვის 32
6. ბრძანება № 54—აფხაზეთის ასსრ საღამოს (ცვლის) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შესახებ . . . . . . . 33
7. ბრძანება № 58—საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . 43
8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 16 დეკემბრის № 2—3754 მიმართვა სკოლა-ინტერნატების დირექტორებისადმი . . . . . 49
9. ბრძანება № 72—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 აპრილის № 255 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . 66
10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პიონერთა და მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივების რესპუბლიკური ოლიმპიადების ჩატარების შესახებ . . . 79
11. საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულების პიონერთა და მოსწავლეთა მხატვრული კოლექტივების თვითშემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება . . . . . . . . . . . . . . . 82
12. სარჩევი 1964 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში მოთავსებული მასალებისა . . . . . 86

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კრებული № 2

1. დადგენილება—მახარაძის, სამტრედიისა და ახალქალაქის ბავშვთა რაიონული სპორტული სკოლების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 49—ცხაკაიას, ყვარლის, ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 7
3. ბრძანება № 63—ქ. ჭიათურისა და საჩხერის რაიონის სკოლებში საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . 11
4. დადგენილება—განათლების მუშაკთა ხელფასის მომატებაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მახარაძის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში . . 16
5. ბრძანება № 82—სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . 21
6. ბრძანება № 83— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 8 აპრილის № 403 ბრძანების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ ჩოხატაურის რაიონის კოხნარის საშუალო სკოლაში . . . . . . . . . 25
7. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალისა . . . . . . . . . . . . . 27
8. ბრძანება № 109—კოჯრის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 34
9. ბრძანება № 110—ნორიოს საბავშვო სახლის მუშაობის ზემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 36
10. ბრძანება № 111—მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 39
11. ბრძანება № 112—გეგეჭკორის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 43
12. პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესები მოსწავლეთათვის . . . . 46
13. ბრძანება № 125—არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების თაობაზე დებულების გამოქვეყნების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 48
14. დებულება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ . . . . . 49

## კრებული № 3

1. ბრძანება № 113—სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 164—ექსტერნატის წესით გამოცდების ჩატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . 8
3. ბრძანება № 167—ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის (მათემატიკა-ფიზიკის გაძლიერებული სწავლებით) სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შექმნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10
4. ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის (მათემატიკა-ფიზიკის გაძლიერებული სწავლებით) დებულება . . . . . . . . . . . . . . . . . . 13

5. ბრძანება 234—რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებითი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 21
6. მოხსენებითი ბარათი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებითი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . 24
7. ბრძანება № 242—თბილისის სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 42
8. ბრძანება № 251—საქართველოს სსრ 14—17 წლის ასაკის მოზარდთა აღრიცხვის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 45
9. ბრძანება № 252—ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-4 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 48
10. მითითებანი საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 62

## კრებული № 4

1. დადგენილება—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1964 წლის შედეგებისა და 1965 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 264—ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კლასებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 16
3. დადგენილება სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 20
4. Указания о проведении выпускных экзаменов и экзаменов на аттестат о среднем образовании в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1964—65 учебном году . . . . . . 25
5. ბრძანება № 305—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის თანამდებობათა ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ . . . . . 27
6. ბრძანება № 324—თბილისის ზოგიერთ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 37
7. ბრძანება № 334—სიღნაღის, წულუკიძისა და ხობის რაიონების საღამოს და დაუსწრებელი სკოლების დაკომპლექტებისა და მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . 44
8. ბრძანება № 338—გარდაბნის რაიონში სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ . . . . . . . . . . 48
9. ბრძანება № 339—ვანისა და წალენჯიხის რაიონების სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . 50
10. ბრძანება № 340—ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში ფიზიკის გაძლიერებული სწავლების კლასებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ 56
11. ბრძანება № 347—ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის და ლაგოდეხის, წითელწყაროსა და გურჯაანის რაიონების საშუალო სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . .
12. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის I—IV კლასების ტიპიური სასწავლო მოწყობილობის სია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 63
13. ცირკულარული წერილი № 1/511 . . . . . . . . . . . 81

## კრებული № 5

1. ბრძანება № 328—სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო საქონლით მომარაგების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 331— ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების შექმნისა და პირველი რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ . . . . 7
3. ბრძანება № 343—გარდაბნის რაიონის ზოგიერთ საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 12
4. ბრძანება № 355—უცხო ენების გაძლიერებული სწავლების სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . 26
5. ბრძანება № 382—სასკოლო ინტერნატების მუშაობის შესახებ . . 31
6. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიისა . . . . . . . . 34
7. ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიისათვის სათამაშოების ნიმუშების წარდგენის, განხილვის და დამტკიცების წესის შესახებ . . . . . 37
8. ბრძანება № 423—რესპუბლიკური ბიუჯეტით 1964 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 39
9. Приказ № 423—Об утверждении отчета по республиканскому бюджету за 1964 год . . . . . . . . . . . . . . 42
10. ბრძანება № 429—ქ. თბილისისა და რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 44
11. ბრძანება № 456—რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონიდან წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 49
12. ბრძანება № 468—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების 1965 წლის კალენდარის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . 52
13. ბრძანება № 478—ქ. ფოთის, კასპისა და ქარელის რაიონების სკოლებში შრომითი და საწარმოო სწავლების პროცესში უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 62
14. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის V—VIII კლასების ტიპიური სასწავლო მოწყობილობის სია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრებული № 6

1. ბრძანება № 497—ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 498—უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა გაშვილების, პატრონირებისა და მეურვეობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ქ. ქ. ფოთსა და ტყიბულში, გურჯაანის, ჩოხატაურის, ცხაკაიასა და ონის რაიონებში . . . . . . . . . . . . 7
3. ბრძანება № 515—მოსწავლე ავიამოდელისტთა XXXIV რესპუბლიკური პირადგუნდური შეჯიბრების ჩატარების შესახებ . . . . . . . . 10
4. ბრძანება № 516—მოსწავლე საზღვაო მოდელისტთა მე-2 რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრების ჩატარების შესახებ . . . . . . . . 16
5. საქართველოს სსრ მოსწავლე—საზღვაო მოდელისტთა მე-2 რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრების დებულება . . . . . . . . . . 17
6. ბრძანება № 518—მე-6 რესპუბლიკური კონკურსის—„ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგებისა და მეშვიდე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . 21
7. ბრძანება № 529—საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში 26
8. ბრძანება № 611 ხაშურის რაიონის სურამის დიმიტროვის სახელობის საბავშვო სახლში პიონერთა საზაფხულო შეკრების ჩატარების კალენდარული გეგმა-გრაფიკი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 35
9. ბრძანება № 611 ხაშურის რაიონის სურამის დიმიტროვის სახელობის საბავშვო სახლში პიონერთა საზაფხულო შეკრების ჩატარების შესახებ . . 36
10. ბრძანება № 741 საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 37
11. ბრძანება № 564—ქ. ტყიბულის, ბორჯომის, ქარელის რაიონებისა და აგარაკ კოჯრის საბავშვო ბაღებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 38
12. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლის V—VIII კლასების სასწავლო მოწყობილობის სია . . 43

## კრებული № 7

1. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმები 1965—1966 სასწავლო წლისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
2. შრომითი შინაგანაწესი საბავშვო ბაღის მუშაკთათვის . . . . . . . . 32
3. ბრძანება № 613—ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 47

4. ბრძანება № 614—გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნახურცილაოს სკოლის მშენებლობაზე დაშვებული დარღვევების შესახებ . . . . . . . . . 52
5. ბრძანება № 681—ახმეტის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . 54
6. ბრძანება № 695—ქ. თბილისის სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . 80
7. ბრძანება № 7.5—იაკობ გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავის აღნიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 83

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრებული № 8

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს მოსწავლეებთან აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ 1965 წლის ზაფხულში . . . . . . . . . . . 3
2. სკოლა—მოსწავლეებთან საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
3. დებულება სკოლა-ინტერნატის შესახებ . . . . . . . . . . 29
4. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, ცეკავშირის გამგეობისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსი 1965—966 სასწავლო წელს რესპუბლიკის სოფლის სოლებსა და სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 40
5. Указания—О приеме учащихся в вечерние (сменные) и заочные средние общеобразовательные школы . . . . . . . . . . . . 43
6. ბრძანება № 716—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 48
7. ცირკულარული წერილი . . . . . . . . . . . . . . . . . . 53
8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1965 წლის 22 ივნისის დადგენილება სკოლების, სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ 54
9. ბრძანება № 693—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სოფლის სკოლებისა და განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ . . . . 64
10. ბრძანება № 731—ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . 67
11. ბრძანება № 764—მახარაძის, დუშეთის, საგარეჯოსა და ქ. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობის გამორკვევის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 91

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრებული № 9

1. ბრძანება № 722—წალენჯიხის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . 3
2. ბრძანება № 774—ნორჩ მხატვართა მესამე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მეოთხე კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . 7
3. ბრძანება № 775—მოსწავლეთა მე-20 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 39
4. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა 1965—1966 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ . . . . . . . 58
5. ბრძანება № 834—დაწყებით კლასებში სწავლების სისტემის სრულყოფის პრობლემებზე პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის კვლევითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 66
6. ბრძანება № 873—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 69

## კრებული № 10

1. ცირკულარული წერილი ისტორიის სწავლების შესახებ საღამოს (ცვლის) დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში . . . . . . . . . 3
2. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . 6
3. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების დათვალიერების დებულება . . . 9
4. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის IX—XI კლასების ტიპიური სასწავლო მოწყობილობის სია . . . . 13

ი 10/279

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ოზოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII-65 წ. ანაწყობის ზომა $6 \times 9^1/_2$
ქაღალდის ზომა $60 \times 84$. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6,5.

ტირაჟი 5000. უე—11746 შეკვ. № 1222.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 11
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19

Тбилисская типография № 11, Главполиграфпрома
Государственного комитета совета Министров Груз. ССР по печати
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19